# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 10 ივლისი. 2023 წ. №80 (9612) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## ვიცინოთ თუ... ვიტიროთ?!



რობერტ კენედი უმცროსი:

## ამერიკამ უკრაინა რუსეთის დასასუსტებლად გაწირა, ხოლო დასავლეთი ყველანაირად ცდილობს, ომი არ დასრულდეს!

**დღეს არის საშინელი ზიზღი და პოლარიზაცია საზოგადოებაში, მთავარი მიზეზია მთავრობის არაკეთილსინდისიერება და ტყუილები,** – ამის შესახებ რობერტ კენედი უმცროსმა Judging Ereedon-სთვის მიცემულ ინტერვიუში ანალიტიკოს ენდრიუ ნაპოლიტანოსთან ისაუბრა.

მისივე თქმით, **ამ დროისთვის ამერიკაში ტელეფონებზე, სოციალურ ქსელებსა და კომპიუტერულ მოწყობილობებზე ტოტალური მოსმენები ხორციელდება. „ბაიდენის ადმინისტრაცია აშანტაჟებდა და განადგურებით ემუქრებოდა სოცქსელების კომპანიებს, თუ არ ითანამშრომლებდნენ მთავრობასთან,** – აღნიშნა კენედიმ.

მისი შეფასებით, **ედვარდ სნოუდენი და ჯულიან ასანჟი ჯაშუშებად აბსოლუტურად უსამართლოდ და უსაფუძვლოდ გამოცხადდნენ.**

კენედი, რომელიც არის აშშ-ის გენერალური პროკურორის, სენატორ რობერტ კენედის შვილი და აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის ჯონ კენედის ძმისშვილი, პოტკასტში ადასტურებს, რომ მამამისი და ბიძამისი CIA-მ მოკლა.

**„CIA-ის კონკრეტული დეპარტამენტები დაკავებულები არიან შანტაჟით, ლიდერების მკვლელობებით, არჩევნების გაყალბებით და ხალხის ტვინის გამორეცხვით“,** – აღნიშნა უმცროსმა კენედიმ. მან SISI-ის ტერორისტულ ორგანიზაციაზეც ისაუბრა და თქვა, რომ ის ამერიკის სპეცსამსახურებმა შექმნეს. რობერტ კენედი უმცროსი რუსეთ-უკრაინის ომსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ამ ომში ამერიკამ უკრაინა რუსეთის დასასუსტებლად გაწირა, ხოლო დასავლეთი ყველანაირად ცდილობს, ომი არ დასრულდეს.



ალეკო ასლანიშვილი

## საიქიომოვლილი კაცი ფრთებს ისწორებს




3

## „შენ რომ გაფრენა არ შეგიძლია, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას“...

## სანქციები გაბაზრებულ ეკონომიკას უტევს!



7



## რუსეთის მოქალაქეებმა 2023 წლის 5 თვეში 3369 საცხოვრებელი სახლი შეიძინეს, შესაბამისად, უძრავი ქონება არ იაფდება!

6

## სანამ დასავლეთი მხოლოდ ნაცებს უჭერს მხარს, „ქართულ ოცნებას“ ნებისმიერი არჩევნები მოგებული აქვს!

4

## საქართველოში ლგბტ პრაიდფესტივალი ალიკვეთა!




იხ. 2 გვ.



5

## საპატრიარქოში სატანა შემძვრალა



# საქართველოში ლგბტ პრაიდფესტივალი აღიკვეთა!

...ეს არის ქართველი ხალხის გამარჯვება, რომელიც მოპოვებულია სიმტკიცით, ერთიანობითა და სიმშვიდით. ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ ვერ წავა ვერავინ.

გინდა, ამერიკის ელჩის დაორგანიზებული იყოს, გინდა მთელი ლიბერალური სამყაროსი, გინდა ჟორიკა რურუა გამოიყვანონ წინა პლანზე და გინდა სალომე ზურაბიშვილი. ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ ვერ წავა ვერავინ. როგორც ეს მოხდა დღეს სიმტკიცით, მშვიდობით, ერთობით, აღიკვეთება ყველა სიბინძურე, ყველა პროვოკაცია, რომელსაც დაგეგმავენ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

აქ არის უამრავი ადამიანი, ეს ხალხი არის სტიქიურად, ბუნებრივად აქ მოსული, არანაირი ლიდერი, არანაირი ორგანიზატორობა ამას არ სჭირდება. ხალხმა ნახა, რომ ტერიტორია არის დაცლილი, ის ადამიანები გაიყვანეს. იმ ადამიანებთან არავის არანაირი პრეტენზია, არანაირი ძალადობა, შეურაცხოფის სურვილი არ ჰქონდა. მათი უსაფრთხოება დაიცვა პოლიციამ და გაიყვანეს ტერიტორიიდან. აღიკვეთა საქართველოში ღია, საჯარო ლგბტ პრაიდფესტივალის ჩატარება და ასე იქნება ყოველთვის, ეს უნდა იცოდეს ყველამ, ამ ქვეყნის გარეთაც და შიგნითაც.



ვატო შაქარიშვილი.

# მუსლიმი ერდოღანი მაგალითს გვაძლევს!

ლუციფერის ნაშიერნი ყოველწლიურ ჯინთვებში ცდილობენ კაცობრიობის ღვთაებრივი შექმნის ბიბლიური ჭეშმარიტება ეჭვქვეშ დააყენონ". ცდილობენ ღმერთს დაუმტკიცონ – რომ ის არ არსებობს და რომ ადამიანი – კაცისა და ქალის ურთიერთობების გარეშეც ჩნდება დედამიწაზე.

ამ ზაფხულის პერიოდში თავისი გაუკუღმართებული ბუნების აღლუმები უკვე ჩაატარეს მსოფლიოს „ცივილიზებულ" ნაწილში. სამწუხაროდ, ჩაატარეს იერუსალიმშიც. საბედნიეროდ, ჩაატარეს სტამბულშიც. საბედნიეროდ იმიტომ, რომ ვიღაცამ უნდა მოგვცეს პრაქტიკული მაგალითი – თუ როგორ უნდა აღუდგეს წინ უფლის გმობას ღვთისმოშიში ხელისუფლება. ამ კომპონენტში მუსლიმი ერდოღანი ქრისტიანულ მთავრობებსაც გვაძლევს მაგალითს.

მისი თქმით, მეტეხის ტაძრის პლატოზე, ქართული ეთნიკური და კონფესიური ტოლერანტობის სიმბოლო – წმ. ვახტანგ გორგასალის ძეგლთან, საქართველოში მშვიდობიან თანაცხოვრებაში მყოფი რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ, ერთმნიშვნელოვანი განაჩენი გამოუტანეს ღვთის გმობისა და არა-ადამი-ანური, გაუკუღმართებული ცხოვრების წესის საჯარო პროპაგანდას.

ჩვენში არა არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს. ზოგი ალკოჰოლიზმს, ზოგი ნარკოდამოკიდებულებას ებრძვის. ზოგი მრუშობს, ზოგი სიძვაშია. ზოგს პედერასტია „შეერია", ზოგს ვერცხლისმოყვარეობა ამარცხებს და ა.შ.

წარმოუდგენელია, რომ ყველამ თავისი „საყვარელი" ცოდვის სახელობის პრაიდები გამართოს და მით უმეტეს, ითხოვდეს ამ ცოდვათა ლეგიტიმაციას საკანონმდებლო დონეზე.

საქართველოში არავინ ერჩის არც პედერასტებს, არც ლესბოსელებს - ამის შესახებ განმარტების გაცემა მათ უფლის წინაშე მოუწევთ ადრე თუ გვიან. მაგრამ, საზოგადოებას, გავშვებს თავს მოახვიონ საკუთარი ცოდვითი მიდრეკილებანი და ცოდვით დაცემანი, თანაც ამას „სიამაყის აღლუმის" ფორმით აკეთებდნენ – ამას მართლმადიდებლების, კათოლიკების, გრეგორიანელების, მუსლიმების, ებრაელების და იეზიდების საქართველო არ დაუშვებს!



დავით ქართველიშვილი.




# ფრანკოფონიის ჯილდო ქართული დელეგაციის წევრებს გადაეცათ

ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს, დავით სონღულაშვილს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, თეა წულუკიანს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, მზაღო დოხტურიშვილს ფრანკოფონიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ფრანკოფონიისა და კულტურათაშორისი დიალოგის ორდენი „პლეადა" გადაეცათ.

ჯილდო, მათ ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა, ფრანსის დრუენმა გადასცა.

„ჩემთვის დიდი პატივია, ვიღებდე და ვატარებდე ასეთ მნიშვნელოვან ჯილდოს. სრულად ვაცნობიერებ, რომ ეს, ერთი მხრივ, ძალზედ საპატიოა, ხოლო, მეორე მხრივ, მეტ პასუხისმგებლობას მანიჭებს.

ფრანკოფონიის განვითარებისთვის ჩვენმა წინა თაობებმა ძალა არ დაიშურეს და ამ პროცესს არც ჩვენ მოვაკლებთ ძალისხმევას. მოხარული ვარ, რომ შევძელით და ვუმასპინძლეთ ფრანკოფონიის დიდ ოჯახს და მსოფლიოს რუკაზე საქართველომ საკუთარი ადგილიც დაიმკვიდრა. თქვენ ფართოდ გაგვიღეთ თქვენი ერთობის კარი და მზად ვართ, ღირსეულად ვისარგებლოთ ამ შესაძლებლობით. დიდი მადლობა, ასეთი შეფასებისთვის და დაფასებისთვის", – განაცხადა დავით სონღულაშვილმა. დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, საპარლამენტო ასამბლეის წევრები, საქართველოს პარლამენტის დეპუტატები საქართველოს და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

# უწყებათაშორისი სწავლება „პარტნიორი 2023" დასრულდა

საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ორგანიზებით, მასშტაბური უწყებათაშორისი სწავლება „პარტნიორი 2023" წარმატებით დასრულდა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, წვრთნები საგანგებო მდგომარეობისა და კრიზისული სიტუაციების დროს უწყებათაშორისი კოორდინაციის დახვეწასა და გაღრმავებას ისახავდა მიზნად და მასში თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიისა და სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, შინაგან საქმეთა, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

„პარტნიორი 2023"-ში ჩართული იყო ასევე, აშშ-ის არმიის საინფორმაციო და სამხედრო-სამოქალაქო ოპერაციების ჯგუფი, ლიეტუვას ეროვნული თავდაცვის მოხალისეთა ძალები და თავდაცვის მოხალისეთა ორგანიზაციები. სწავლება საქართველოში სამ ლოკაციაზე, ამბროლაურის, თეთრიწყაროსა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში კრიზისულ სიტუაციებში რეალურთან მიახლოებული სცენარის მიხედვით მიმდინარეობდა. სცენარი ეპიდემიის მართვის, ხანძრის კერებზე რეაგირებისა და დივერსიული ჯგუფების აღმოჩენა-განეიტრალების ოპერაციებს მოიცავდა.

წვრთნების დასკვნით ეტაპს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური დაესწრო. გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა სწავლების ამოცანისა და აღსრულების პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო, მონაწილეებთან შეხვედრისა და სიტყვით მიმართვისას კი, ყურადღება მსგავსი მასშტაბისა და უწყებათაშორისი წვრთნების მნიშვნელობაზე გაამახვილა.



## მარნეულის და ჰუჯაბის ეპისკოპოსი:

# არაფერი დაგავიწყდეთ, პრეზიდენტო!

მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი გიორგი, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებას ეხმიანება, რომელიც მან „პრაიდის ფესტივალის" გაუქმებასთან დაკავშირებით გააკეთა. ეპისკოპოსის თქმით, ზურაბიშვილმა, სამართალდამცავებს მადლიერების ნაცვლად საყვედური გამოუცხადა, თუმცა სწორედ მათი ძალისხმევით იქნა თავიდან აცილებული ვითარების გამწვავება.

ახლა მე მინდა მივმართო მის აღმატებულებას, ჩვენი ქვეყნის მთავარსარდალს, ქალბატონ პრეზიდენტს:

– დღეს,ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ გაიმარჯვა მსოფლიო „ლგბტ" სოდომისტურ მოძრაობაზე,რომელიც დრო და დრო შეტევას ახორციელებს ჩვენს ერზე. თქვენ გამოთქვით უკმაყოფილება და სამართალ დამცავებს გამოუცხადეთ საყვედური ნაცვლად მადლიერებისა. რომელთაც მაღალი პროფესიონალიზმით უზრუნველყვეს დღევანდელი დღის ისე წარმართვა, რომ არც ერთი ჩვენი თანამოქალაქე არ დაშავებულიყო. თქვენი აზრით, სამართალდამცავები ძალისმიერი მეთოდებით უნდა დაპირისპირებოდნენ ათასობით ჩვენს მოქალაქეს,რაც გამოიწვევდა უმართავ პროცესებს და დესტაბილიზაციას ქვეყანაში?

მე საჯაროდ დაგიჭირეთ მხარი და ასევე საჯაროდ მინდა გამოვთქვა წუხილი თქვენს გამო. და ასევე მინდა შეგახსენოთ,რომ არ დაგავიწყდეთ,თქვენ ბრძანდებით ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი მიწის, წმინდა ნინოს ვაზის ჯვრით განათლებული,თამარ და ქეთევან დედოფლის ქვეყნის პასუხისმგებელი პირველი პირი!, – წერს მარნეულის და ჰუჯაბის ეპისკოპოსი გიორგი.

# უკრაინას მოღალატეებიც საკმაოდ ჰყავს

რუსეთის შეჭრიდან დღემდე უკრაინაში სახელმწიფოს ღალატის ბრალდებით 1 300-ზე მეტი საქმე აღძრეს. ოფიციალური ინფორმაციით, 2022 წლის თებერვლიდან დღემდე უკრაინის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით 1 677 საქმე აღძრეს, მათ შორის, 1 315 საქმე სახელმწიფოს ღალატს ეხება. ამავე პერიოდში, უკრაინაში 286 სისხლის სამართლის წარმოება დაიწყო კოლაბორაციონისტულ საქმიანობასთან დაკავშირებით და 23 საქმე აგრესორი სახელმწიფოს ხელშეწყობის ფაქტზე.

ამჟამად უკრაინაში 1 052 პირს ამოწმებენ, რომლებიც სახელმწიფო ღალატსა ან კოლაბორაციონისტულ საქმიანობაში არიან ეჭვმიტანილები. ყველაზე მეტი საქმე აღძრულია ლუგანსკის, ზაპოროჟიეს, ხერსონისა და დონეცკის ოლქებში. მაგალითისთვის, მათ შორის არის კომპანია „მოტორ სიჩის" ყოფილი პრეზიდენტი ვიაჩისლავ ბოგუსლაევი, რომელსაც რუსეთთან თანამშრომლობაში ადანაშაულებენ. კერძოდ, ბრალდებაში საუბარია რუსულ სახელმწიფო კომპანია „როსტეხთან" თანაშრომლობასა და რუსული ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი სათადარიგო ნაწილების მიწოდებაზე, რაც ომის დაწყების შემდეგაც გრძელდებოდა. ბოგუსლაევი 2022 წლის ოქტომბრიდან პატიმრობაშია.

# ოთარ სტეფანიშვილი ამხელს!



საინფორმაციო სააგენტო „მარშალპრესის" დამფუძნებელი ოთარ სტეფანიშვილი სოციალურ ქსელში ეხმიანება უკრაინის მოქალაქეებისთვის საქართველოს ხელისუფლების მიერ, უფასო საცხოვრებლისა და კვების დაფინანსების შეჩერების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასა და ოპოზიციის მიერ გამოთქმულ კრიტიკას. საქართველოში უკრაინის ხელისუფლებას წარმოადგენს უკრაინის საელჩო და ელჩი!

**მაქვს კითხვა**:

რამდენი უკრაინული ოჯახი შეიფარა უკრაინის საელჩომ?

გუშინ გავიარე ვაკეში, ბუზის გაფრენის ხმა ისმის და სრული სიცარიელეა ამ უდიდეს შენობაში!

**მეორე კითხვა:** რამდენი უკრაინული ოჯახი შეიფარა უკრაინიდან საქართველოში შემოპარულმა, უკრაინის მოქალაქემ და უკრაინის სიამაყე მიხეილ სააკაშვილის მილიარდერმა ოჯახმა?



# „შენ რომ გაფრენა არ შეგიძლია, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას“... საიქიომოვლილი კაცი ფრთებს ისწორებს




**ცივილიზაცია ასოგით საუკუნეს ითვლის. ამ ვრცელ პერიოდში, ძალზე დარიგად, მაგრამ მაინც გვხვდება ადამიანის საიქიოში ჩასვლისა და მერე საქაოში დაგრუნების ამბავი.**

პირველი დამოწმებული ცნობა ძვ.წ.აღ. XVII საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის. ლაპარაკია შუმერულ ქალაქ ურუქის მეფის, შუმერული პოეტური ქმნილებებისა და აქადური ეპოსის გმირი გილგამეშის მეგობარ ენქიდუზე, რომელიც ქვესკნელში ჩადის ხის ფესვებისგან დამზადებული მუსიკალური საკრავების ამოსატანად, რომლებიც გილგამეშს ჩაუცვივდა იქ. მაგრამ ენქიდუ უკან ვეღარ ბრუნდება და გილგამეში მხოლოდ მის სულთან ამყარებს კავშირს.

როგორც ვხედავთ, პირველი ცდა ნახევრად წარმატებული აღმოჩნდა: ჩავიდა, ვერ ამოვიდა.

სამაგიეროდ, ეს მოახერხა ტროას ომის გმირმა, ითაკის მეფე ოდისევსმა. ის და მისი თანამგზავრები ომიდან შინ ბრუნდებიან. უამრავი თავგადასავლის შემდეგ აიას კუნძულს მიადგებიან, სადაც ლამაზი და გრძნეული ქალღმერთი კირკე ცხოვრობდა, კოლხეთის მეფის აიეტის და. კირკემ ოდისევსს გზის განგრძობის პირობად ჰადესის მღვიმეში შესვლა დაავალა, ოდისევსმა პირობა შეასრულა. ჰადესის მღვიმეში თავისი ყველა დაღუპული მეგობრისა და თანამებრძოლის აჩრდილი ნახა, მათ შორის დედის-ანტიკლეასი, რომელიც ომში მიმავალმა ცოცხალი დატოვა. ამრიგად, დიდმა პოეტმა ჰომეროსმა (ძვ. წ.აღ. IX-VIII სს.) დაგვიდასტურა, რომ ადამიანის მიერ საიქიოს მოვლის ფაქტი მართლაც მოხდა.

კარგა ხნის შემდეგ იგივე დაამოწმა ასევე დიდმა პოეტმა დანტე ალიგიერმა (1265-1321 წ.წ.), რომელმაც საიქიოს სამივე განყოფილებაში მოგზაურობის ამბავი დაგვიტოვა უკვდავი „ღვთაებრივი კომედიის“ სახით.

**და, აი, დადგა დიადი პირველი საუკუნე, კაცობრიობას მოევლინა ძე ღვთისა იესო ქრისტე. მან არაერთი სასწაული ჩაიდინა, სახალხოდ მკვდრეთით აღადგინა ოთხი დღის გარდაცვლილი ლაზარე, მაგრამ ეს კიდევ არაფერი: თვით იესო ჯვარზე გაკვრით დასაჯეს სიკვდილით და ის მესამე დღეს აღსდგა. ამის მოწმე და მხილველი მთელი კაცობრიობა იყო, ჩვენც ვართ ყოველ წელს.**

სხვათა შორის, არც მანამდე ლაზარეს და არც შემდეგ იესოს სიტყვაც არ დაუძრავთ, თუ რას აკეთებდნენ ისინი იმ სამი საკონტროლო დღის მანძილზე საიქიოში.

იმის დამოწმება, თუ კონკრეტულად რას აკეთებდნენ საიქიოში ჩასული ცოცხალი კაცები, როგორც ვნახეთ, სულ სამია: გილგამეშის, ჰომეროსისა და დანტესი. ოღონდ, ამ სამივე ცნობას ერთი ნაკლი აქვს, ისინი პოეტების ხელიდან არის გამოსული, ანუ პოეტური ქმნილებები გახლავთ, სადაც წარმოსახვა და ჭეშმარიტება ერთმანეთშია აღრეული...

რეალურ ცხოვრებაში კი სხვაგვარადაა.

მაგალითად, ერთი ჩვენი ჩინებულზე ჩინებული პოეტი გულდაწყვეტილი ამბობს: მე რომ გაფრენა არ შემიძლია, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებასო. დიდებულად არის ნათქვამი. ეს უფრთოობა სტრატეგია აღმშენებლელ გიორგი ვაშაძისთვის კი სულაც არაა მომაკვდინებელი ფაქტი, მას სხვა პოეტური სახე მოერგებოდა: თუ პრემიერის ჰალსტუხში არ გააკვეხა თავი, ეს უკვე ნიშნავს (მის) გარდაცვალებას. ჰოდა, მთელი დუნია ხალხი მოწმე ვართ, როგორ იჭაჭება, ნაკერებზე ირღვევა ეს ცენტნერნახევარი კაცი (ჯერჯერობით ამაოდ!), როგორმე ირაკლი ღარიბაშვილი „ქაჯეთის ციხიდან“ (კანცელარიიდან) რომ დააცუროს.

ჩვენს დღეებში, 21-ე საუკუნეში რა ზედენაა ზეჭდიანი მოწმობა საიქიოდან კაცის მობრუნებისა, მთელი 2022 წელი გასაოცარ მეტამორფოზას არ ვუყურეთ? ჩამოვიდოდა „ვივამედის“ ბოლო სართულიდან ლიფტით პატიმარ მიხეილ სააკაშვილის დედა და ეცემოდნენ ჟურნალისტები, როგორ არის ჩვენი მიშაო? ის კი მჭმუნვარედ გახედავდა ზეცას, რაღა როგორ არის, ფაქტობრივად სანთელივით დნება ადამიანიო.

თვეები გადიოდა ასე, ჯერ იმ ცნობილი სამოცი თუ ასდღიანი შიმშილობის, მერე მილიონნახევარი დოლარის უცხოური ექიმ-ექსპერტების დროს.

**და გვეცლებოდა კაცი ყოველდღე ხელიდან, მაგრამ არ დავანებეთ სიკვდილს, რამდენჯერაც იქით გაიწია, იმდენჯერ უკან მოვაბრუნეთ. ყველაზე მეტად სტრასბურგის სასამართლოს ვერდიქტმა გაჭრა: როგორც კი ითქვა, არც სასიკვდილო სჭირს რამე და არც მაინცდამაინც უცხოეთში მკურნალობა სჭირდებაო, თვალდათვალ გაცოცხლდა კაცი.**

გაცოცხლდა, მაგრამ რა გაცოცხლდა, ხელახლა წარმოჩნდა მოჩხუბარ მამლად! იმის შემდეგ კი, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოში მოხდა მისი ჩართვა და ქვეყანამ დაინახა, რომ ეს გადადებული კაცი უკანასკნელ ნინძასავით ირჯება და არც დემენციის ეტყობა რამე და არც ფაცაციის, კიევმა გადაწყვიტა მიშას ნეკნების საჯაროდ ჩვენება ხელზე დაეხვია და საქართველოსთვის ყურის ძირში გაელაწუნებინა.

პრეზიდენტმა ზელენსკიმ ბრძანა, საქართველოს ელჩი კინწისკვრით გაესროლათ უკრაინიდან.

კეთილი, საქართველოს ელჩმა უკრაინა დატოვა! მთელი ამ საელჩოს დონეზე ბრძოლის მიზეზი ერთობ პროზაულია – მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის გაუარესება(?!). ბატონმა ზელენსკიმ ევროპის და ამერიკის ხელისუფალთ მოუწოდა, არ მოახდინონ ამ ვითარების იგნორირება და ჩაერთონ საკითხის მოგვარებაში:

**„სწორედ ახლა რუსეთი კლავს უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილს საქართველოს ხელისუფლების ხელით... კიდევ ერთხელ მოგვიწევს საქართველოს ხელისუფლების დარწმუნება, რომ მიხეილ სააკაშვილი უკრაინას გადასცენ საჭირო მკურნალობისა და ზრუნვისათვის...ევროპაში არცერთ ძალას არა აქვს უფლება სიკვდილით დასაჯოს ადამიანები. სიცოცხლე არის ძირითადი ევროპული ღირებულება“.**

ზელენსკის მზრუნველობამ მიხეილ სააკაშვილი კიდევ უფრო დაადნო ღორის ქონივითა.მოვუსმინოთ მას: „პრეზიდენტმა ზელენსკიმ გამოიჩინა ადამიანურობის ეტალონი და გაქანებული ომის დროს მოიცალა ჩემთვის. როგორ შეიძლება თუნდაც ამის გამო არ გიყვარდეს უკრაინა და პატივს არ სცემდე მის პრეზიდენტს. მე ვრჩები უკრაინის პრეზიდენტთან არსებული რეფორმების საბჭოს თავმჯდომარედ და, რა თქმა უნდა, გმირული ქვეყნის ამაყ მოქალაქედ“.

წერილში „მე და უკრაინა“ ეს მგზნებარე კაცი მგრძნობიარედ წერს: „უკრაინა ჩემთვის ჩემი პატარა უკრაინელი ქალიშვილი ჟასმინია, რომლის ნახვისა და ხელში აყვანის შესაძლებლობა ჯერ არ მქონია“.

მიშას მამობრივი სურვილი, ნახოს და ხელში აიყვანოს ქალიშვილი, რომელიც ჯერ არ უნახავს, გასაგები და მხარდასაჭერია, ოღონდ, აქ ბოდიში კი მომიხდია, მაგრამ მიშას მოხერხების კაცს ეს აქამდე არ უნდა გასჭირვებოდა. ამას იმად მოგახსენებთ, რომ მიშა ორი წელია ციხეშია, მისი ქალიშვილი ჟასმინი ერთი წლისაა. ჰოდა, თუ მამამ ასეთ გაურკვეველ ვითარებაში ბავშვის შექმნა-ჩასახვა მოახერხა, რა გაუხდა იმ ბავშვის „ვივამედის“ კომფორტულ კედლებში მონახულება, მით უფრო, რომ მასთან „ციხეში“ ზღვა ხალხი დაიარება და საკუთარ ბავშვს კი არა, მონდომების შემთხვევაში სპლიყვს შეაპარებენ.

და მაინც, შვილთან დაკავშირებით ამ განცდამ არ შეიძლება არ აგაღელვოს, ოღონდ წაიკითხავ სოციალურ ქსელში იგივე მიშას 6 ივლისის წერილს და ხელები ჩამოგიცვივდება: „ყველანაირი ბინძური ჭორის გასაფანტად, ჩემი პირადი ცხოვრება ახლა და მომავალშიც მთლიანად უკავშირდება სოფოს და იმ დიდ სიყვარულს, რომელიც გვაკავშირებს მე, მას და ალიისას.“

უკვე აღარ იცი რა დაიჯერო!

**თუ კარგად მოჩხრიკავ სოციალურ ქსელს, იქნებ ასეთი გაუხუნარი სიყვარულის დამოწმება გამოიქექოს თუნდაც სანდრა რულოვსის მიმართ... თამარ ჩერგოლეიშვილი ამ შემთხვევაში ცამდე მართალია, როცა წერს: „როგორც თავისი შვილების დედებს ექცევა, იმაზე უარესად ექცევა ქართველ საზოგადოებას და ამ საზიზღრობას გვატენიან-ჭამეთ, მხსნელიაო, ეს ღორები!..“**

ისე, სანდრა რულოვსი ვახსენე და უმალ უმაღლესი საოჯახო დელეგაცია დამიდგა თვალწინ, ამ ცოტა ხნის წინათ ბრიუსელში თუ სტრასბურგში წმინდა ცრემლებით მოქვითინე: დედა-გიული ალასანია, ცოლი-სანდრა რულოვსი, შვილი-ედუარდი...

სანდრა... რა გულდასმით სწავლობდა ქართულ სიმღერებს, განსაკუთრებული მონდომებით რატომღაც მეგრულს. ვინ იფიქრებდა, რომ მესამე პრეზიდენტის და მისი მეუღლის მცხუნვარე სიყვარული ასე უცებ სამად გასკდებოდა (ვინ იცის, იქნებ შვიდად ან ცხრადაც კი, თუ მიხეილის პირდაპირ საანეგდოტო პოტენციალს გავითვალისწინებთ).

**ერთი რამ ცხადია, მკვდრეთით აღმდგარი მიშა ფრთებს ისწორებს, ფლანგებს იმაგრებს: ჩემი უკრაინა, ჩემი საქართველოო...**



**ალეკო ასლანიშვილი**

რატომ არ ცხოვრობს, თუნდაც ერთი უკრაინული ოჯახი მიშას კახეთის სახლში? მიშას დედისა და ბებიის სახლებში? ან უნივერსიტეტების კამპუსებში?

**მესამე კითხვა:** რუსული თეატრიდან აღებული ფულით, „დროას“ ლიდერმა ელენე ხოშტარიამ ბათუმში და საგურამოში სახლები რომ იყიდა, იქ რატომ არ ცხოვრობენ უკრაინული ოჯახები?

**მეოთხე კითხვა:** აჭარის სანაპიროზე ლექსუსებით რომ დანავარდობენ მდიდარი უკრაინელები, რატომ არ ზრუნავენ საკუთარ თანამემამულეებზე?

**მეხუთე კითხვა:** სად წერია, რომ ჩვენმა სახელმწიფომ ჯანღონით სავსე უკრაინელი კაცები და ქალები უნდა შევინახოთ და ჩიტის რძეც არ მოვაკლოთ?

**მეექვსე კითხვა:** რატომ არ ეხმარება თავად უკრაინის ხელისუფლება ჰუმანიტარული დახმარების გზით მიღებული მილიარდების ნაწილით, მის უკრაინელ მოქალაქეებს საქართველოში?

**მეშვიდე კითხვა:** ელჩები გვიცვალონ, რუსეთის მოკავშირე გვიწოდონ, ათასი საზიზღრობა დაგვაბრალონ, ჩვენი ქვეყნის დასანქცირებაზე იმუშაონ ევროპასთან და ჩვენ აქ შემწვარ-მოხრაკულები არ მოვაკლოთ? რა ლოგიკაა ეს?

**მერვე კითხვა:** ერთი მადლობა თუ მიუღია საქართველოს ხელისუფლებას ზელენსკისგან და არახამიასგან, იმისთვის რაც ამ დროის განმავლობაში მივხედეთ მათგან უპატრონოდ დარჩენილ უკრაინელებს?

№80. ორშაბათი, 10 ივლისი, 2023 წელი.



# სანამ დასავლეთი მხოლოდ ნაცებს უჭერს მხარს, „ქართულ ოცნებას“ ნებისმიერი არჩევნები მოგებული აქვს!

**„დასავლეთში გავლენიანი ადამიანების ჯგუფს, სამწუხაროდ, ძალიან სურს, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ჩამოაშოროს!**

**„კონკრეტული ქვეყნები ესკალაციას არ უნდა მოერიდონ“,** – ეს არის უკრაინის პრეზიდენტის მიერ შექმნილი რუსეთის სანქციების ჯგუფის კოორდინატორის, **მაიკლ მაკფოლის** მიერ „რადიო თავისუფლებაში“ გაკეთებული განცხადება. რას გულისხმობს, ან რომელ ქვეყნებს, მაკფოლი არ აკონკრეტებს, თუმცა საქართველოს ხელისუფლებას გაუჩნდა განცდა, რომ ის ქართულ ოპოზიციას აქეზებს და ქვეყანაში ესკალაციის დაწყებისკენ მოუწოდებს. უფრო მეტიც, მაკფოლი არ გამორიცხავს, ქართულ კომპანიებზე, ბიზნესმენებზე და პოლიტიკოსებზე სანქციების დადებას.

**„რაც ამ ეტაპზე შემიძლია გაგიმხილოთ, არის შემდეგი: ჩვენს ჯგუფს ნამდვილად აქვს განხილული კონკრეტული ინდივიდუალური პირები და ორგანიზაციები საქართველოდან, რომელთა სანქცირებაზე ვფიქრობთ. ასე რომ, დაელოდეთ მოვლენათა განვითარებას - ახალ დოკუმენტებს ზაფხულის განმავლობაში გამოვაქვეყნებთ. გვაქვს საკმაოდ მყარი მტკიცებულებები, რომელიც მიუთითებს, რომ ისინი ეხმარებიან რუსეთს სანქციებზე გვერდის ავლასა ან, ასე ვთქვათ, „გზის მოჭრაში“, და ჩვენ გვსურს ამას ნათელი მოვფინოთ. იმაზე, რომ საქართველო ნამდვილად არის ჩართული ამაში, ისიც მიუთითებს, რომ დავასახელებთ ცნობილ გვარებს. ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ გვაქვს მიღებული და ამიტომაც ვფრთხილობ“,** – ამბობს მაკფოლი.

**„არ მოერიდოთ ესკალაციას, არის არასწორი მოწოდება“,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, საუბარი იმაზე, რომ კონკრეტული ქვეყნები ესკალაციას არ უნდა მოერიდონ, კითხვის ნიშნებს აჩენს.

**„წავიკითხე მაკფოლის ინტერვიუ, სადაც საუბარი ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, რომ ესკალაციას არ უნდა მოერიდონ კონკრეტული ქვეყნები და საუბარი ჰქონდა ქართველ ჟურნალისტთან ამ თემაზე, რაც კითხვის ნიშნებს აჩენს. მე არ მინდა, ამ თემაში ღრმად შევიდე. ზოგადად, ასეთი მოწოდებები არ არის სწორი. მოწოდება, არ მოერიდოთ ესკალაციას, არის არასწორი მოწოდება, მე ასე მგონია“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, ჩვენ რასაც ვვაჭრობთ რუსეთთან, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში, იგივეს ვაჭრობს დასავლეთი ერთი დღის განმავლობაში. როგორც მან აღნიშნა, რადიკალური ოპოზიცია მოქმედებს იმ ძალების დაკვეთით, რომლებსაც არ სურთ სიკეთე ჩვენი ქვეყნისთვის და მოსახლეობისთვის.

**„ყველა ქვეყანა, პირველ რიგში, საკუთარი ინტერესების დაცვას უფრთხილდება. ეს არის ის, რაც ამოძრავებს ნებისმიერ ქვეყანას. ჩვენც, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის ინტერესები უნდა დავიცვათ. არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც დააზარალებს საკუთარ ქვეყანას და მოსახლეობას. გახსოვთ, ოპოზიციის მოწოდებები სანქციებთან მიერთების შესახებ, რაც გამოიწვევდა მინიმუმ, მარტო პირველივე წელს, 2,5 მილიარდი დოლარით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემცირებას, ამას ითხოვდა ოპოზიცია. თავადაც შეგიძლიათ განსაჯოთ, საითკენ არის ორიენტირებული რადიკალური ოპოზიცია და ვისი დაკვეთით მოქმედებენ ეს პოლიტიკური ძალები. იმ ძალების დაკვეთით, რომლებსაც არ სურთ სიკეთე ჩვენი ქვეყნისთვის და მოსახლეობისთვის. ჩვენ არ გადავდგამთ ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც მძიმე ზიანს მიაყენებს ჩვენს ქვეყანას და მოსახლეობას, მათ შორის ეკონომიკური თვალსაზრისით“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ამბობს, რომ მაკფოლი ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელ ერმაკთან ერთად, ე.წ. კომისიის ხელმძღვანელია, რომელიც კონკრეტულად სანქციებზე მუშაობს. ანჯაფარიძე ამბობს, რომ მაკფოლი აქტიურად ეკონტაქტება „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს და მასთან უკრაინაში არაერთხელ ჩასულან. ამის ამსახველი ფოტოები კი სოციალურ ქსელშიც გამოქვეყნებულა.

**„მაკფოლი საქართველოსთან დაკავშირებით ძირითადად ინფორმაციას „ნაცმოძრაობიდან“ და ხელისუფლების სხვა ოპონენტებისგან იღებს. ბუნებრივია, ასევე ინფორმაციის წყარო უკრაინაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არახამია, პოდოლიაკი და ა.შ. არიან და აქედან გამომდინარე, მე არ გამოვრიცხავ, რომ სანქციების სიაში კონკრეტული სახელები კიდევ ვიხილოთ.**

**მაკფოლი, როგორც ხელისუფლებაში ამბობენ, „გლობალური ომის“ პარტიაში მოიაზრება და, მაშინ, რა თქმა უნდა, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ ამ სანქციებში კონკრეტრული სახელები და კომპანიები მოხვდნენ. მოდი, ასე ვთქვათ, დასავლეთში გავლენიანი ადამიანების ჯგუფია, რომლებსაც სურთ, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ჩამოაშორონ. არ მოსწონთ ეს ხელისუფლება, რადგან არ ასრულებს „ოცნება“ იმას, რაც მათ უნდათ. აქედან გამომდინარე, თუკი დავუშვებთ, რომ მაკფოლის დაპირება რეალობად გადაიქცა და „აირზენას“ და გაიაშვილის მსგავსად, სხვა ქართველი კომპანიები და პოლიტიკოსებიც დასანქცირდნენ, რა თქმა უნდა, ეს საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების პროცესში, ნეგატიურ გავლენას მოახდენს“,** – ამბობს ანჯაფარიძე.

მისივე თქმით, ისინი, ვინც არ არიან დაინტერესებულები, რომ ჩვენმა ქვეყანამ სტატუსი მიიღოს, შეეცდებიან, რომ ეს სანქციების თემა გამოიყენონ. რაც შეეხება მაკფოლის შემდეგ განცხადებას ესკალაციისკენ მოწოდებაზე, ანჯაფარიძე ამბობს, რომ თუკი მისი ნათქვამი ზუსტად არის გადმოთარგმნილი, ეს მისი მხრიდან პირდაპირ, დესტრუქციისკენ მოწოდებაა.

**„მისი სიტყვები თუ ნამდვილად ასე ითარგმნება, ეს ნიშნავს იმას, რომ მაკფოლი აქეზებს საქართველოში ოპოზიციას, რომ მიდი, დაიწყეთ და ჩვენ აქ ვართ. არ მგონია, ვოლოდიმირ ზელენსკის ძალიან მძიმე განცხადება და ჩვენი ელჩის კიევიდან, ფაქტობრივად, გამოგდება მხოლოდ შემთხვევითობა იყოს. ეს არის საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული მესამე სპეცოპერაცია, რომლის მიზანი საქართველოში ხელისუფლების შეცვლაა. ყველაფერი ეს, იგივე სანქციები, ელჩის გამოგდება, ხომ გროვდება. წარმოიდგინეთ ზელენსკის ამ გადაწყვეტილებას ევროკავშირის სტრუქტრებში რომ გაიგებდნენ!.. როდესაც ნეგატიური ინფორმაცია პოზიტიურს აჭარბებს, შესაბამისად, გადაწყვეტილებაც პოზიტიური ვერ იქნება. საკმარისია, რომელიმე ბალტიისპირეთის ქვეყანამ, მაგალითად, პოლონეთმა ხელი აწიოს და თქვას, რომ მე წინააღმდეგი ვარ, რა თქმა უნდა, სტატუსს არ მოგვცემენ“,** – ამბობს ანჯაფარიძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ინფექციურია თუ „ჯაყოს ხიზნების“ ბალაგანი?!



## თენგიზ ცერცვაძე ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის შენობაში არსებულ მდგომარეობაზე კიდევ ერთხელ გოდებს!

**„ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრი ქვეყანაში დღემდე ერთადერთი დაწესებულებაა, რომელიც ემსახურება აივ/შიდსით, მძიმე და განსაკუთრებით საშიში ინფექციებით ავადმყოფებს და გარდა ამისა, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი და მსოფლიოში უპრეცედენტო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ძირითადი განმახორციელებელია. ცენტრმა ქვეყანას თავიდან ააცილა აივ/შიდსის ფართომასშტაბიანი ეპიდემია, მისგან გამომდინარე უდიდესი ადამიანური მსხვერპლით და ეკონომიკური ზარალით. ცენტრმა მნიშვნელოვანი როლი შეიტანა აგრეთვე ქვეყანაში COVID პანდემიის დამარცხებასა და ლეტალური გამოსავლების მინიმიზაციაში.**

**2009 წელს შპს „ავერსი-ფარმამ“, წინა ხელისუფლებასთან კორუფციული გარიგებით და ე.წ. რეიდერული მეთოდების გამოყენებით, ხოლო შემდგომში მოსამართლეებთან გარიგების შედეგად, „ჩალის ფასად“ მიითვისა ჩვენი ცენტრის ტერიტორია და შენობა-ნაგებობები, რის გამოც წლების მანძილზე საქმიანობა გვიხდება უკიდურესად მძიმე, კაბალურ და თან პერსონალისა და ავადმყოფების ღირსების შემლახველ და შეურაცხმყოფელ პირობებში – ასე ვთქვათ, „ჯაყოს ხიზნების“ როლში. ჩვენ რამდენჯერმე წამოვიწყეთ შპს „ავერსი-ფარმასთან“ სამართლებრივი დავა, რომლის დროსაც „ავერსი-ფარმას“ ხელმძღვანელობა იძლეოდა სხვადასხვა დაპირებას (რომ დაგვიბრუნებდა ტერიტორიის ნაწილს, სადაც შევძლებდით ახალი შენობის აშენებას და სხვ.), მაგრამ, როგორც წესი, გვატყუებდა და ამ დაპირებებს არ ასრულებდა. ხოლო 2019 წელს „ავერსი-ფარმას“ ხელმძღვანელობამ, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს გარიგების გზით, გამოატანინა ანეკდოტური განჩინება, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, რადგან სახელმწიფომ ჩვენი ცენტრი უკვე დააკმაყოფილა (?!) სათანადო მიწის ნაკვეთით და შენობა-ნაგებობით (?!). შპს „ავერსი-ფარმას“ ადმინისტრაცია იქამდეც მივიდა, რომ გამიზნულად გადახადა ჭერი ცენტრის ადმინისტრაციულ კორპუსს, რათა თანამშრომლებს თავზე აწვიმდეს და მათი ყოფა კიდევ უფრო აუტანელი გახდეს.**

**ჩვენ იძულებული ვიყავით, დროებითი გადახურვა გაგვეკეთებინა, მაგრამ ის ვერ უძლებს ძლიერ წვიმებს, რის გამოც ადმინისტრაციული შენობის ცალკეულ ოთახებში არაერთგზის ჩამოინგრა ჭერი, ჩამოვიდა დიდი რაოდენობით წყალი, გაფუჭდა ინვენტარი, მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია და საფრთხე შეექმნა თანამშრომლების ჯანმრთელობას. უკანასკნელად ასეთი ფაქტი მოხდა ა.წ. 4 ივლისს, როდესაც ძლიერი წვიმის დროს ჩამოვიდა არა მარტო დიდი რაოდენობით წვიმის წყალი, არამედ ჩამოინგრა კონსტრუქციებიც, დაიტბორა ოთახები, განადგურდა ან დაზიანდა ინვენტარი და მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია. ხოლო თანამშრომლები მხოლოდ იმიტომ გადარჩნენ, რომ ეს ყველაფერი მოხდა საღამოს (არასამუშაო) საათებში“,** – წერს თენგიზ ცერცვაძე.

# კლინიკების მიმართ ჯანდაცვის სამინისტროს დავალიანება არ აქვს!

**2023 წლის იანვრიდან დღემდე, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში, კლინიკების მიერ მოქალაქეებისთვის მიწოდებული სერვისი, სახელმწიფომ, 524 მილიონი ლარით დააფინანსა,** – ამის შესახებ ნათქვამია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. უწყების ცნობით, შესაბამისი რეგულაციებით დადგენილი გადახდის ვადების გათვალისწინებით, დღევანდელი მონაცემებით, კლინიკების მიმართ სამინისტროს დავალიანება არ აღინიშნება.

**„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, კლინიკის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების სრული ვადა განსაზღვრულია, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ჩაბარებიდან, 73 სამუშაო დღით.**

**შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულებების მიერ მოწოდებული, იანვარ-თებერვლის მონაცემები უკვე დამუშავებულია და კლინიკების მიერ გაწეული ხარჯები სრულად არის დაფარული. ასევე, ავანსის სახით, გაცემულია მარტის გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების თანხა“.**

# ახალციხეში ყირიმ-კონგოს ახალი შემთხვევა გამოვლინდა

**ახალციხეში, სოფელ ანდაში ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ახალი შემთხვევა გამოვლინდა,** – ინფორმაციას „სამხრეთის კარიბჭე“ ავრცელებს.

არსებული ინფორმაციით, დაავადება შუახნის კაცს დაუდასტურდა. ის თბილისში, ინფექციურ საავადმყოფოში მკურნალობს.

როგორც სამედიცინო დაწესებულებაში ამბობენ, პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მიმდინარე წელს რეგიონის მასშტაბით, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების 12 შემთხვევა გამოვლინდა.

# სუს-მა პოლიტიკური მკვლელობის საქმე აღკვეთა!

**სუს-ის საქმიანობის ამსახველ ყოველწლიურ ანგარიშს, რომელიც პარლამენტში აპრილის თვეში შევიდა, სამი კომიტეტი – თავდაცვისა და უშიშროების, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტები ერთობლივ სხდომაზე 7 ივლისს განიხილავდნენ. არსებული ინფორმაციით, სუს-ის ხელმძღვანელს ანგარიშით რიგგარეშე სესიის ფარგლებში მოუსმენენ.**

სუს-ის ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2022 წელს საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა მზადდებოდა:

**„2022 წელს სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 3 საქმეზე, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმის მომზადების ფაქტზე, რაზეც გატარდა შესაბამისი პრევენციული ზომები აღნიშნული განზრახვის სისრულეში მოყვანის ხელშეშლის მიზნით“,** – ნათქვამია სუს-ის ანგარიშში.

ამ ეტაპზე სუს-ი არ აკონკრეტებს, ვინ არის სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი, ვისზეც თავდასხმა მზადდებოდა, ისევე როგორც არ კონკრეტდება ვინ იყო ორგანიზატორი. უმრავლესობის წევრის, **გიორგი კახიანის** განცხადებით, სუს-ის ანგარიშის ეს ნაწილი შესაძლოა, დახურული სხდომის ფორმატში მოისმინონ. დეპუტატი აცხადებს, რომ თავად არ ფლობს ინფორმაციას სუს-ის ანგარიშის ამ ნაწილზე და როგორც აღმოჩნდა, ამ ინფორმაციის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ უმრავლესობის სხვა წევრები.

ოპოზიციაში კი აცხადებენ, რომ სუს-ი არ წარმოადგენს უსაფრთხოების სამსახურს, ის წარმოადგენს ერთი კაცის უსაფრთხოებისთვის შექმნილ სამსახურს, რომელიც „ქართული ოცნების“ პროპაგანდას აგრძელებს. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი **დავით კირკიტაძე** ამბობს, რომ ქვეყნის შიგნით არსებობს ერთადერთი ძალა, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ ქვეყანას და მის მტერთან – რუსეთთან არის კოლაბორაციაში და ეს არის „ქართული ოცნება“.

ოპოზიციის წევრი **რომან გოცირიძე** თვლის, რომ უნდა იყოს ნათქვამი, რომელი თანამდებობის პირის მოკვლას აპირებდნენ და ვინ. როგორც დეპუტატი აცხადებს, სუს-ის ანგარიშში ძალიან ბევრი ბუნდოვანი ჩანაწერია და ძალიან ჰგავს „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ განცხადებებს. დოკუმენტში გარე საფრთხეებთან დაკავშირებით ნახსენებია უცხო ქვეყანა და არა რუსეთი.

**„არის ერთი ასეთი დებულება, რომ თურმე სუს-მა თავიდან აიცილა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების აქტივობა და რომელი ქვეყანაა ეს, არ ასახელებს. თუ რუსეთია, ახსენონ პირდაპირ რუსეთი, მაგრამ რუსეთს არ ჰგავს, რადგან თურმე მერე სუს-მა აიცილა ამ რომელიღაც უცხო ქვეყნის ინტერვენცია ანუ შემოჭრა საქართველოში. რომ იტყვიან – „გვარს არ დავასახელებ და ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეო“, ასე არ ასახელებენ რომ რუსეთია. სადაც საკითხი ეხება რუსეთს, ირიბად არის ნათქვამი და არ არის ნახსენები, ვინ და რა იგულისხმება.**

სუს-ის ეს ერთი შეხედვით სკანდალური ანგარიში მითი და მოგონილი ჰგონია **იაგო ხვიჩიას,** რომლის განცხადებით, არშემდგარ ტერორისტულ აქტზე ვსაუბრობთ, ნაცვლად მნიშვნელოვანი საკითხებისა – მთავარი თემა ქუჩაში გახშირებული ძალადობის შემთხვევებია. დეპუტატი თვლის, რომ ანგარიშის ამ ნაწილისთვის ყურადღების მიქცევის ნაცვლად, კითხვები მნიშვნელოვან საკითხებზე უნდა დაისვას. მისი თქმით, მთავარი თემა არის ქუჩაში გახშირებული ძალადობის შემთხვევები, რომელსაც სხვადასხვა მტკიცებულებებით სხვადასხვა მედიები სუს-ის თანამშრომლებს აბრალებენ.

შეიძლება მიზანი იყოს, რომ მხოლოდ ამაზე წავიდეს დისკუსია, თუ ვინ იყო თანამდებობის პირი, რომლის ლიკვიდაცია იგეგმებოდა. დარწმუნებული ვარ, სერიოზული არაფერი ხდებოდა, მაგრამ ზოგადად, თუ გვინდა სხვა არაფერზე ვილაპარაკოთ და მხოლოდ ამან წაიღოს მედიის ყურადღება, მარტივად მოახერხებენ ამას ასეთი ჩანართებით. ამიტომ მე არ მივაქცევდი ამ ანგარიშის ამ ნაწილს ყურადღებას“, – განაცხადა **იაგო ხვიჩიამ.**

სუს-ის ანგარიშის ეს ნაწილი საჯარო არ გახდება, თუმცა ოპოზიციისგან განსხვავებით ა-რ „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი **ნანა კაკაბაძე** დარწმუნებულია, რომ იგეგმებოდა პოლიტიკური მკვლელობა, თუმცა ამბობს, რომ გამოძიების ეს ნაწილი საჯარო არ და ვერ გახდება.

**„ბადრი პატარკაციშვილის, ზურაბ ჟვანიას მკვლელობა რა იყო? მართალია, პატარკაციშვილი არ იყო პოლიტიკური თანამდებობის პირი, მაგრამ ცხადია, რომ ის იყო ადამიანი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას არ აწყობდა და ფაქტია, რომ ნაციონალების პოლიტიკის გამო დადგა ის შედეგი, რაც დადგა. და ზურაბ ჟვანიას მკვლელობა არ იყო თანამდებობის პირის მკვლელობა? ვინ დაგეგმა, ვინ შეუკვეთა, ეს სამწუხაროდ დღემდე არ არის გამოძიებული და ეს „ქართული ოცნების“ სერიოზული შეცდომაა და ეს ფაქტია.**

**რაც შეეხება ამ კონკრეტულ ფაქტს, გამოძიება რა დოზით ჩათვლის საჭიროდ, იმ დოზით გაასაჯაროებს. მთავარი არის ჯერ გამოძიების ინტერესები და მერე საზოგადოების ინფორმირება. რაც შეეხება ოპოზიციის განცხადებას, რაში სჭირდება სუს-ს ეს ინფორმაცია რომ მოიგონოს? ვინ გაჩერდება, რომ ეს ინფორმაცია ბოლომდე არ იქნას გამოძიებული. უკვე გაჟონა ინფორმაციამ და ახლა ვინ დატოვებს ამ ინფორმაციას ყურადღების გარეშე, გამოძიების შედეგს ხომ ყველა დაელოდება? და რაში უნდოდა ეს თავის ტკივილი სუსს?“,** – აცხადებს **ნანა კაკაბაძე.**

**თამთა ქარჩავა**






# საპატრიარქოში სატანა შემძვრალა

**გავრცელდა საზარელი ინფორმაცია, რომ საქართველოს პატრიარქის ილია მეორის მოსაყდრე, მისი უსამღვდელოესობა მეუფე შიოს თანდათან წამლავდნენ. საპატრიარქოს ექიმმა, ქალბატონმა, ცისანა შარტავამ განაცხადა, რომ ერთი კვირა მეუფე შიო მძიმე მდგომარეობაში იყო. მას თანდათან წამლავდნენ. ამჟამად მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა.**

საპატრიარქოს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე აცხადებს, რომ მეუფე შიოს ორგანიზმში დასაშვებზე მეტი რაოდენობის მეტალები აღმოჩნდა.

**რას ნიშნავს ეს? ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ ავისმქნელი საპატრიარქოშია, მღვდლის სამოსით დაიძურწება, მიუწვდება ხელი, შხამი ყოველდღე შეაპაროს პატრიარქის მოსაყდრე მეუფეს. ვინ შეიძლება იყოს ის? რასაკვირველია მოსყიდული ნაძირალა! ხელი არ უკანკალებს. გამიზნულად, წინასწარ განზრახვით მოქმედებს. სული ბოლომდე დაბინძურებული კი არა, სულგამოცლილია, შხამიანი ფიტული, გველგესლაა ანაფორაში.**

წინაპარს ბრძნულად აქვს ნათქვამი ციხე შიგნიდან ტყდებაო. ვის სურს მეუფის მოსპობა და რატომ? ცხადია, მეუფის ფარული, თანდათან მიცვალება და საპატრიარქოდან მოშორება სურს იმას, ვისაც მიაჩნია, რომ მომავალში პატრიარქის სავარძლისთვის ბრძოლაში ყველაზე რეალური ხელშემშლელია. მეუფე შიოს შეუძლია, გახდეს მომავალი პატრიარქი. ვინ არის დამკვეთი, მიტროპოლიტებიდან ერთ-ერთი ან ჯგუფი, რადგან მხოლოდ მიტროპოლიტს აქვთ უფლება ილია მეორის არ ყოფნის შემთხვევაში, კენჭი იყაროს კანდიდატის პოსტზე.

**ვინ აქტიურობს და ვის აქვს სურვილი ბინძური მეთოდებით მიაღწიოს საწადელს, ამის კვლევა-დადგენა უსაფრთხოების სახელმწიფო სამსახურების საქმეა. არ მაქვს კომპეტენცია, რაიმე კონკრეტული და მამხილებელი მოსაზრება გამოვთქვა.**

თუმცა, მაქვს უფლება, დანამდვილებით განვაცხადო, მეუფე შიოს ვიცნობ პირველი დღიდან, როცა ის სენაკისა და ჩხოროწყუს მთავარეპისკოპოსი გახდა. სადისერტაციო ნაშრომისთვის მასალების მოძიებისა და წიგნად შეკვრის საკითხში მოკრძალებული წვლილი მეც მიმიძღვის, როგორც ისტორიკოსს და „სენაკის მატიანის“ ავტორს. ხშირად გვისაუბრია საეკლესიო თემებზე, მაძლევდა რჩევებს, როცა, წამებული პატრიარქის, წმინდა ამბროსი ხელაიას ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ დოკუმენტურ წიგნზე ვმუშაობდი. მისგან მივიღე კურთხევა როცა სამეგრელოს ყველაზე დიდი პოლიტიკური მოღვაწის, სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ორტომეული შევქმენი.

**ეს ჩამონათვალი პირადი ღირსებების წარმოჩენისთვის არ მჭირდება, არამედ ურწმუნონი დავარწმუნო, რომ რასაც ქვემოთ ვიტყვი თითიდან გამოწოვილი არ გახლავთ.**

**თამამად შემიძლია ვთქვა, მეუფე შიო გახლავთ შინაგანად უაღრესად გაწონასწორებული, დინჯი, მაღალი ინტელექტის მღვდელმსახური. ბედნიერებაა მისი მსჯელობის მოსმენა. ქადაგებისას დამაჯერებელია მისი თითოეული წინადადება. არა სიტყვა უხვია, მაგრამ საოცარი ძალით შეუძლია ადამიანის დარწმუნება. გამოირჩევა შესაშური კეთილშობილებით, ქველმოქმედებითა და ადამიანური თვისებებით.**

მეუფე შიოს წინააღმდეგ განხორციელებული არაადამიანური ქმედება გახლავთ არა ოდენ ანტიქრისტიანული, არამედ დანაშაულებრივი აქტი. მზაკვარი მღვდელმსახურნი მეუფე შიოს კი არ ებრძვიან, არამედ უპირველესად პატრიარქს და შემდგომ ქართველ ხალხს. ისინი კირიონის მკვლელის შთამომავლები არიან. ცხადია, ყველა მღვდელმსახური არ ცხოვრობს სუფთა ეკლესიური ცხოვრებით. ისინი შავ მანტიაში გახვეული სატანები არიან. ასეთი ადამიანები, ვითარცა უძღები შვილები, მამის წიაღში დაბრუნდნენ. ბევრი სირაქლემას პოზაშია.

არ ვიცი მაღალი იერარქიის მღვდელმსახურებს რა რეაქცია ექნებათ ამ საშინელ დანაშაულზე, მაგრამ ცხადია, ამგვარი ბინძური ქმედებებით ეკლესიისადმი ნდობა ნელდება. გვიჩნდება ეჭვი ეკლესიის მსახურთა პატიოსნებაზე, როცა მათ თანდათან დაახვავეს დიდი ქონება, თავადების გაზულუქებულ პოზაში გვევლინებიან, შავი ჯიპებით დაქრიან, უზომოდ განდიდებულნი პოლიტიკაშიც ერევიან. აშკარაა, რომ ერთმანეთის მკვლელობასაც არ თაკილობენ.

**ჩვენი მოთმინების ფიალა აივსო. ეს მძიმე დანაშაული ვალმოხდილი პატრიარქისთვის უმძიმესი სულიერი დარტყმაა. მისი ღვაწლისთვის ლახვრის ჩასობაა.**

მღვდელმა პეტრე კვარაცხელიამ ერთ ინტერვიუში დაწერა. „ჩვენ რომ დავირაზმოთ, ჩვენ, რომ ჩვენი სათქმელი ვთქვათ და ერს წარუძღვეთ წინ, დამერწმუნეთ, შემოსილები უფრო მეტნი იქნებიან, ვიდრე ერის ადამიანები. ეს სანახაობრივად უფრო ლამაზი, შთამბეჭდავი იქნება – ხმაც რომ არ ამოვიღოთ და რუსთაველზე ჩავიაროთ, ამით ბოროტება დაითრგუნება, ან თუნდაც ყველამ, ერთდროულად გულწრფელად ერთხელ მაინც წარმოვთქვათ: „უფალო, შემიწყალეენ!“ უფალი აუცილებლად შეგვიწყალებს.“

**მამაო პეტრევ, მეუფე შიოს სიცოცხლის ხელმყოფს შეწყალებამ და უფლისადმი ფარისევლურმა თხოვნამ, რა უნდა უშველოს. არანაირი პატიება მას. ჩვენ, საზოგადოება მოვითხოვთ, სათანადო ორგანოებმა დროულად ამხილონ და სასტიკად დასაჯონ დამნაშავე!, შემსრულებელი და დამკვეთიც!**



**ბორის დავითაია,**

სენაკის საპატიო მოქალაქე, რამდენიმე ლიტერატურული პრემიის ლაურეატი.

## ზაფხულის სიცხის ფენომენი



# შიშველი რუსი და უკრაინელი ქალები ნუ შეგაშინებთ!!!

**„რასაც რუსები კადრულობენ, ცხოველები არ იკადრებენ! შემზარავია ლისზე ასვლა და გაშვების გასეირნება“,** – წერს დეკანოზი **პეტრე კოლხი**. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა საქართველოს მოსახლეობის ნაწილი გაოგნებულია იმით, რასაც რუსები კადრულობენ.

ამ რამდენიმე ხნის წინ სოციალურ ქსელში გამოჩნდა ინფორმაცია, რომ წყალტუბოში არავის უკვირს შიშველი რუსების გამოჩენა, რომლებიც ამ კურორტზე მზეს ეფიცხებიან, მაგრამ უცნაური იყო სამტრედიის რაიონის სოფელ დაფნარის სუპერმარკეტში შიშველი რუსი ქალის გამოჩენა, რომელმაც ყველას თავზე დაამხო აგრესია, როცა შენიშვნა მისცეს, რომ სოფელში ასე არ გადაადგილდებიან.

სულ ახლახანს ინფექციონისტ **მაია ბუწაშვილის** მიმართვაც გახმიანდა, რომელიც საქართველოში შიდსის სწრაფად გავრცელების საშიშროებაზე საუბრობს, რადგან რუსი პაციენტებისგან ფლობს ინფორმაციას, რომ მათ არაერთი ქართველი სქესობრივი პარტნიორი ჰყავთ.

უკეთესი განწყობა არც უკრაინელების მიმართ ვლინდება. სოციალურ ქსელში იწერება, რომ სანამ ქართველი მებრძოლები უკრაინაში იღუპებიან, ომს გამოქცეული უკრაინელი კუნთმაგარი მამაკაცები საქართველოში რესტორნებს ხსნიან და ფულის კეთებით არიან დაკავებულნი. ასევე, სარესტორნო ბიზნესში არიან ჩართულნი რუსები.

**სოციალურ ქსელში გამოხატული აგრესია რუსების და უკრაინელების მიმართ კრიტიკულ ფაზაში ხომ არ შევა და გაუცხოება ხომ არ დაიწყება არა მარტო რუსების, არამედ ცალკეული უკრაინელების მიმართ?**

ყოფილი სახელმწიფო მინისტრის **პაატა ზაქარეიშვილის** აზრით, თუკი უკრაინელები შემოვუშვით კანონის საფუძველზე, რაღაცით ხომ უნდა იარსებონ, აბა, საქართველოს ხარჯზე ხომ არ უნდა იყვნენ? დევნილებად ჩაეწერონ და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღონ დახმარება? თუკი შეუძლიათ, ბიზნესი აწარმოონ, რა არის ამაში ცუდი?

პაატა ზაქარეიშვილი იხსენებს, რომ 2008 წელს ომი გვქონდა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ საქართველოში უამრავი ღონისძიება ტარდებოდა. მეტიც, პაატა ზაქარეიშვილს ახსოვს ისიც, რომ 90-იანი წლების ომის დროს თავად აფხაზეთში იმყოფებოდა, როცა

### აგრესიული მექავების გარდა, არიან... თავშეკავებულნიც

ხალხი დუბაიში მიდიოდა დასასვენებლად. ამიტომ არასწორია სხვის თვალში ვეძებოთ ბეწვი, როცა ჩვენს თვალში დირეა.

**„უბრალოდ, არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელთაც არასდროს არაფერი მოსწონთ, ყოველთვის ყველაზე არიან გაბრაზებულები. გაბრაზებულები არიან სამყაროზე. ამიტომ ვერ დაინახავენ სინამდვილეს. სინამდვილეში კი, ეს ხალხი უკრაინამ გამოუშვა და საქართველოში საჯაროდ მოქმედებენ. რამეს თუ აშავებენ, აგერ, უკრაინის საელჩოა. თუ ვიღაც მოღალატემ და დეზერტირმა გახსნა რესტორანი, საელჩო ვერ შეძლებს ამაზე რეაგირებას?“** – აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი For.ge-სთან საუბრისას.

რაც შეეხება რუსების გამომწვევ ქმედებას, პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ ამისთვის უნდა არსებობდეს კანონი. თუკი ქართულ კანონს არღვევს რუსი და ხულიგნურად იქცევა, პოლიციამ უნდა მიხედოს და არა ხალხმა. ხალხმა შეიძლება შენიშვნა მისცეს, მაგრამ კამათის და ჩხუბის დრო არ არის. პოლიციამ უნდა მოთოკოს ცალკეული ადამიანების აღვირახსნილი ქცევა. ეს შეიძლება იყოს არც თუ ისე სტანდარტულად ჩაცმული, თრობაში მყოფი რუსი ქალბატონი, რომელიც საკუთარ თავს ვერ აკონტროლებს.

**„მე თვითონ ნაცხოვრები ვარ რუსეთში და წარმოდგენა მაქვს ამ კატეგორიის ადამიანებზე. ცალკეულ ღონისძიებაზე, ფესტივალსა და კლუბებში ყველგან არსებობს დაცვა. უცხოეთის კლუბებში, სადაც ალკოჰოლური საშუალებები და მსუბუქი ნარკოტიკები იყიდება, ყველგან ხდება ექსცესები, ამისთვის არსებობენ კუნთმაგარი ბიჭები, რომლებიც ამ ხალხს თავიანთ ადგილს მიუჩენენ“,** – ამბობს პაატა ზაქარეიშვილი.

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** მიიჩნევს, რომ რაც საქართველოში ხდება, ეს ფენომენალურია იმ მხრივ, რომ რუსების და უკრაინელების ამხელა ნაკადი შემოვიდა, ბევრმა ტრანზიტით გაიარა საქართველო და სხვა ქვეყანაში გავიდა, ზოგი აქ დარჩა, მაგრამ შემოსულთა მიმართ მძიმე კრიმინალური შემთხვევა არ მომხდარა. ეს იმის



მიუხედავად, რომ საქართველოში კრიმინოგენური სიტუაცია არ არის მარტივი, სულ ახლახან გული შეეკუმშებოდა ადამიანს, რადგან საგარეჯოში შვილმა მოკლა დედა, უფრო ადრე მამაკაცმა ავტობუსში ყელი გამოჭრა თავის ცოლს. თუმცა ერთი მკვლელობა არ მომხდარა დღემდე, ერთი დაჭრილი არ მიუყვანიათ საავადმყოფოში ეთნიკურ ნიადაგზე შელაპარაკების გამო.

**„ერთადერთი შემთხვევა ვიცი, გოგებაშვილის ქუჩაზე სროლა მოხდა და შემთხვევით ტყვია მოხვდა უკრაინელ ტურისტს, არ დაიჭრა მძიმედ, მაგრამ ეს ფაქტი იყო. ეს უნიკალური შედეგია, მიუხედავად იმისა, რომ „ნაცები“ ეცადნენ პროვოკაციას. ჯერ ლარსთან დახვდნენ რუსებს ტრანსპარანტებით, „გაეთრიეთ საქართველოდან“, მერე დაინახეს, რომ ქართველებს არ მოეწონათ ეს ამბავი, რადგან ჩვენს ეკონომიკას დადებითად დაეტყო მათი შემოსვლა. ცხადია, ცალკეული უარყოფითი ფაქტები არის, მაგალითად, ბათუმში იყო შემთხვევა და ესეც ჩაქრა. შეუძლებელია იმის გამორიცხვა, რომ სადღაც შეიძლება დაპირისპირება მოხდეს, მით უმეტეს, რომ არიან პროფესიონალი პროვოკატორები „ნაცისტების“ სახით. რა მიკვირს, იცით, მე ჯერ არ მინახავს მთვრალი რუსი ან უკრაინელი ტურისტი ქუჩაში, ან ხმამაღალი ლაპარაკი რომ იციან. ვაკეში რუსები საკმაოდ ბევრნი არიან, ყოველდღიურად მხვდებიან, ძირითადად ინტელიგენტურად მოქმედებენ. სხვათა შორის, აფთიაქებში, მაღაზიებში ჯერ ინგლისურად იციან ხოლმე მიმართვა, რომ არ გააღიზიანონ ქართველები, ზოგჯერ ქართულადაც იტყვიან „დიდი მადლობა“, რაღაცები ისწავლეს. აცნობიერებენ, რომ რუსეთში არ იმყოფებიან და სხვაგან არიან და სიფრთხილით მოქმედებენ“,** – აცხადებს პეტრე მამრაძე.

მისივე თქმით, ფეისბუკში „ნაცები“ დესტრუქციულად მუშაობენ. როცა „ნაცისტებმა“ დაიწყეს ყვირილი, „ჩაიკეტოს ლარსი, არ შემოვუშვათ არავინ“, ზუსტად მაშინ გამოვიდა ჯერ **ბაიდენი**, მერე **შოლცი** და ერთი და იგივე თქვეს: „ჩვენ ფართოდ ვუღებთ კარს რუსეთის ყველა მოქალაქეს, რომელიც ახერხებს, გაექცეს **პუტინის** რეჟიმს. როგორც სირიელ ლტოლვილებს ფართოდ გავუღეთ კარები, ისე ახლა ველოდებით რუს მოქალაქეებს“. ამის შემდეგ გაჩერდნენ „ნაცები“. პოლონეთსა და ბალტიისპირეთში კი რუსებს შემწყნარებლურად არ ექცევიან, იქ რომ შეუშვან რუსები, ცემა-ტყეპა ატყდება, რადგან მკვეთრად უარყოფითი განწყობაა რუსების მიმართ.

**მანანა ნოზაძე**

## რუსეთის მოქალაქეებმა 2023 წლის 5 თვეში 3369 საცხოვრებელი სახლი შეიძინეს, შესაბამისად, უძრავი ქონება არ იაფდება!

# ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია!

**2023 წლის აპრილში, თბილისში საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე აქტივობამ საგრძნობლად იკლო და გაყიდული ბინების რაოდენობა 2022 წლის აპრილის მაჩვენებელს 22%-ით ჩამორჩებოდა. ამის მიუხედავად, ჯერ ფასების კლებაზე საუბარი არ არის. დეველოპერები სულაც ზრდას ელოდებიან. ყველაფრის მიზეზი და სათავე არის ის, რომ საქართველოში შემოსული რუსეთის მოქალაქეები უძრავი ქონების შეძენაზე გადაერთნენ და 2023 წლის 5 თვეში 3369 საცხოვრებელი სახლი შეიძინეს, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია.**



TBC Capital-ის კვლევის თანახმად, ტრანზაქციების რაოდენობის მნიშვნელოვანი კლების ფონზე, ბაზრის ზომა წლიურად 23%-ით, 200 მლნ დოლარამდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ საშუალო გასაყიდმა ფასმა ზრდა განაგრძო და 1 კვ/მ-ზე 1.177 დოლარს გაუტოლდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 32%-ით აღემატება. ამავე პერიოდში გასაქირავებელი ფასი წლიურად 52%-ით გაიზარდა, თუმცა წინა თვესთან შედარებით 1.6%-იანი კლება დადასტურდა. აპრილში 1 კვ/მ-ს საშუალო გასაქირავებელი ფასი 12.8 დოლარი იყო.

უძრავი ქონების გაძვირების ტენდენციაზე საუბრობენ ასევე დეველოპერებიც. კომპანია **m²**-ის გენერალური დირექტორის **ნიკოლოზ მეძმარიაშვილის** განცხადებით, მიმდინარე წელს უძრავ ქონებაზე ფასი 10-15%-ით კიდევ გაიზრდება. მისი თქმით, ბუმი 2022 წლის დასაწყისში, პირველ და მეორე კვარტალში, როდესაც უპრეცედენტოდ რაოდენობის უცხო ქვეყნის მოქალაქე შემოვიდა საქართველოში, რამაც, პირველ რიგში, ქირის ფასის ზრდა



# სანქციები გაბაზრებულ ეკონომიკას უტევს!

## როგორ იმოქმედებს რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სანქციების მე-11 პაკეტი ქართველ ავტოიმპორტიორებზე?

**ევროკავშირმა რუსეთისთვის დაწესებული სანქციების მე-11 პაკეტი დაამტკიცა, რომელიც სავაჭრო, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სექტორების დამატებით შეზღუდვებს ითვალისწინებს. სანქციების პაკეტი საქართველოს ერთ-ერთ წარმატებულ ბიზნეს საქმიანობას შეიძლება ირიბად შეეხოს.**

საქმე ისაა, რომ რუსეთის ფედერაციაში მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი იზღუდება. თუკი აქამდე მოქმედი წესით რუსეთში 50 000 ევროზე ძვირადღირებული ავტომობილების შეყვანა იკრძალებოდა, სანქციების მე-11 პაკეტით მას 1.9 ლიტრზე მეტი მოცულობის ძრავის მქონე ავტომობილების ექსპორტის შეზღუდვაც დაემატა.

თბილისში ვიზიტად მყოფმა სანქციების საკითხებში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა **დეივიდ ოსალივანმა** რუსეთში ავტომობილების ექსპორტის შესახებ დასმულ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ სანქციების გვერდის ავლად ჩაითვლება ფაქტები თუ საქართველოს მოქალაქე ევროკავშირში შეძენილ ავტომობილს რუსეთში გაყიდის.

სექტორში მიმდინარე პროცესებზე და სამომავლოდ სანქციების გავლენებზე ავტოიმპორტიორთა ასოციაციის თავმჯდომარე **ლაშა დარბაისელმა** ისაუბრა. ასოციაციის ხელმძღვანელმა მნიშვნელოვანი უწოდა იმპორტიორებსა და სახელმწიფოს შორის ინფორმაციის უფრო აქტიურ გაცვლას სანქციებთან დაკავშირებით. სექტორისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ დასავლეთის სანქციების ქვეშ არ მოექცნენ.

**„ჩვენ ბიზნესს რუსეთის ბაზარზე გათვლა არასდროს ჰქონია, პირიქით, პარტნიორებად განვიხილავთ დასავლეთს, ევროპას, აქედან ვახდენთ ავტომობილის იმპორტირებას, ხოლო შემდგომ გაგვყავს ან შუა აზიის ქვეყნებში, ან აზერბაიჯანსა და უკრაინაში. რაც შეეხება რუსეთის ბაზარს, ციფრები გვიჩვენებს, რომ გაზრდილია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ რუსეთის ბაზარზე გვაქვს აქცენტი გაკეთებული.**

**აქ რაღაც ბუნდოვანება რჩება. მაგალითად, თუ ქართველ იმპორტიორს არ ჰქონდა ინფორმაცია და ავტომობილი გაყიდა პირობითად, ყაზახეთის მოქალაქეზე, რომელმაც ეს ავტომობილი გაყიდა რუსეთში, ამის შემდეგ ვსანქცირდებით ჩვენ, ქართველი ავტოიმპორტიორები, იმის გამო, რომ არ გვაქვს შესაბამისი ინფორმაცია? აქ უკვე ვხედავ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის აუცილებლობას.**

**ამის გამო თუ ქართველ ავტოიმპორტიორებს სანქციები შეეხება, დაზარალდება არა მხოლოდ იმპორტიორი, ასევე საქართველოს ბიუჯეტიც და ჩავთვალოთ, რომ მოკვდება ეს სექტორი. ვერც კერძო ავტოდილერი და ვერც ასოციაცია ვერ გააკონტროლებს სანქციების თემას, არ აქვს რესურსი, უნდა გააკონტროლოს სახელმწიფომ“,** – განუცხადა „კომერსანტს“ დარბაისელმა.

მისი აზრით, შეზღუდვის მხრივ ზარალის შედარებაც კი არ შეიძლება სანქციებში მოხვედრის ზარალთან, რადგან ეს სექტორის სიკვდილს გამოიწვევს.

ავტოიმპორტიორთა ასოციაციის დამფუძნებლის **ალექსი ნონიაძის** თქმით კი, „ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის მიმართულებით, ფაქტობრივად, არაფერი არ უნდა გავიდეს“. შესაბამისად, მთავრობამ საკითხი ცენტრალიზებულად უნდა დაარეგულიროს და ინდივიდუალური ავტოიმპორტიორების ნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.

**„ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის მიმართულებით ფაქტობრივად, არაფერი არ უნდა გავიდეს. ეს არის მითითება. არავისთვისაა საიდუმლოო, რომ ქვეყანაში შემოსული ავტომობილი ჯერ გადის ტექმომსახურებას და შემდგომ უკვე გამართულ მდგომარეობაში რეექსპორტზე სხვა ქვეყნებში. იმიტომაც ვართ ავტოჰაბი, რომ ავტომობილი მომსახურებას კომპლექსურად გადის და უკვე ტექნიკურად გამზადებული გაჰყავთ.**

**რაც შეეხება კითხვას, რამდენად ვიზარალებთ, თუ გავითვალისწინებთ წინა წლის მოცულობას, ბაზარს დააკლდება 75 მლნ დოლარის ვაჭრობა და ეს მნიშვნელოვანია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ინდივიდუალურად, თითოეული ავტოიმპორტიორის გადასაწყვეტი რომ იყოს, გაყიდის ის რუსებზე თუ არა, მე ვფიქრობ, ეს გამოსავალი არ იქნება. არ უნდა დავუშვათ აქ ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რადგან შეიძლება მე უარი ვთქვა ამაზე, მაგრამ სხვა ავტოიპორტიორმა არ მიიჩნიოს ეს კრიტიკულად მნიშვნელოვნად და გაყიდოს. ამიტომ, სახელმწიფომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, უნდა მოხდეს ცენტრალიზებული ორგანიზება, იგივე მომსახურების სააგენტოში, როდესაც ავტოიმპორტიორი გადაწყვეტს, რომ რეექსპორტით გაუშვას რუსეთში, ამის შესაძლებლობა მს არ უნდა მიეცეს“,** – განაცხადა ნონიაძემ.

**ბექა დანელია**

---

გამოიწვია, ხოლო შემდეგ, როდესაც ისინი უძრავი ქონების ბაზარს გაეცნენ, მათ გასაყიდი უძრავი ქონების ათვისება დაიწყეს, რამაც გაზარდა ბინის ფასი. ის $m^2$-ის სტატისტიკაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ 2022 წლის იანვრიდან დღემდე საშუალო ფასის ზრდა 45%-ია, თუმცა მომავალში ასეთ მკვეთრ ნახტომს აღარ ვარაუდობს და მიიჩნევს, რომ ფასი ეტაპობრივად გაიზრდება.

**მეძმარიაშვილი** ასევე გაძვირების სხვა ფაქტორებზეც საუბრობს, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი თვითღირებულების გაზრდას უჭირავს.

**„2019-დან დღემდე დაახლოებით 2-ჯერ არის ბეტონის და არმატურის ღირებულება გაზრდილი, ასევე 50%-ით მასალების ღირებულება, 30-40%-ით მუშახელის და კლების ტენდენცია არ ჩანს“,** – განაცხადა მეძმარიაშვილმა.

შედარებით სხვაგვარი ინფორმაცია აქვს სამშენებლო დარგის ექსპერტს **მალხაზ კუნელაურს**, რომელიც ადასტურებს, რომ სამშენებლო პროდუქციის ღირებულება მეტ-ნაკლებად დასტაბილურებულია და ფასები წლის ბოლომდე რაიმე განსხვავებულ ცვლილებას არ დაექვემდებარება.

**„ფასები ყოველკვარტალურად თვალში საცემად არ იზრდება, თუმცა დინამიკა შეიძლება შევაფასოთ წლიდან წლამდე და გასულ წელთან შედარებით სამშენებლო მასალები, რა თქმა უნდა, გაძვირებულია. დღეს გაცილებით ძვირია, ვიდრე ეს იყო ერთი წლის წინ და ამას თავისი განმაპირობებელი მიზეზები გააჩნია.**

**სამშენებლო მასალების ფასები ჯერაც მაღალია, მაგრამ ქაოსურად ძვირი აღარ არის. მეტ-ნაკლებად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასტაბილურებულია, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში არსებული ღირებულება აუცილებლად შენარჩუნდება. ამ მონაკვეთში მომდევნო 3 წელს მაინც ვგულისხმობ. ჯერჯერობით იმის თქმა შეიძლება, რომ წლის ბოლომდე რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას არ ველოდებით“,** – განაცხადა კუნელაურმა.

თუკი რამე უძრავ ქონებას აძვირებს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა მიერ საქართველოში გაცხოველებული აქტიურობაა. იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ 2023 წლის 5 თვეში რუსეთის მოქალაქეებმა 3369 საცხოვრებელი სახლი შეიძინეს საქართველოში. 2022 წელს კი მათ მიერ შეძენილი ქონებების რაოდენობა 5 ათასს შეადგენდა.

**„უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის 5000 რუსეთის ფედერაციის მოქალაქის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 6135 საცხოვრებელ ბინა/ერთეულზე, ხოლო, 2023 წლის 1 იანვრიდან 5 ივნისამდე პერიოდისთვის, 2780 რუსეთის ფედერაციის მოქალაქის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 3369 საცხოვრებელ ბინა/ერთეულზე“,** – ნათქვამია იუსტიციის სამინისტროს პასუხში.

ყველა მონაცემის საფუძველზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბინის ფასების კლება მიმდინარე წელს არ დაფიქსირდება, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, რეალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით, ბაზარი სულ უფრო დასტაბილურდეს. თუმცა, შესაძლებელია ნავარაუდევზე უფრო მეტი ნიშნულით მატება, რაც საგარეო ფაქტორებზე და ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზეა დამოკიდებული.

**ბექა დანელია**

---

# სიფრთხილე ბმართებს რუსეთთან!..



**აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მოუწოდებს ჩინეთის ლიდერს, სიფრთხილე გამოიჩინოს მოსკოვთან ურთიერთობებში.**

ბაიდენის განცხადებით, სი ძინპინთან სატელეფონო საუბრისას ყურადღება გაამახვილა რუსეთის ლიდერის ვლადიმირ პუტინთან შეხვედრასა და პეკინის დამოკიდებულებაზე დასავლურ ინვესტიციებზე.

**„მას შემდეგ, რაც რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, 600 ამერიკული კორპორაცია გავიდა რუსეთის ფედერაციიდან. ჩინეთის ლიდერი მეუბნებოდა, რომ მათი ეკონომიკა დამოკიდებულია ინვესტიციებზე ევროპიდან და აშშ-დან. მას ვუთხარი, რომ ფრთხილად იყოს“,** – განაცხადა ბაიდენმა „სიენენთან“ ინტერვიუს დროს.

ბაიდენმა ასევე აღნიშნა, რომ სი ძინპინთან საუბრისას, მას მიუთითა, რომ მისი მოწოდება სიფრთხილისკენ არ წარმოადგენს მუქარას.

# „აზოველები“ და თურქები პირობას არღვევენ!

**უკრაინის პრეზიდენტთან, ვოლოდიმირ ზელენსკისთან ერთად თურქეთიდან სამშობლოში დაბრუნებული პოლკ „აზოვის“ მეთაურები აცხადებენ, რომ ისინი საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთვებიან.**

როგორც ლვოვში გამართულ შეხვედრაზე „აზოვსტალის“ დამცველმა, დენის პროკოპენკომ თქვა, ახლა მნიშვნელოვანია, რომ უკრაინის არმიამ სტრატეგიული ინიციატივა ხელში ჩაიგდოს.

**„ჩვენ კიდევ ვიტყვით საკუთარ სიტყვას ბრძოლაში“,** – განაცხადა პროკოპენკომ. „აზოველების“ სამშობლოში დაბრუნების ცერემონიაზე პრეზიდენტმა ზელენსკიმ კიდევ ერთხელ გადაუხადა მათ მადლობა საბრძოლო მოქმედებების დროს გამოჩენილი გმირობისთვის.



დენის პროკოპენკო და „აზოვის“ კიდევ ოთხი მეთაური 2022 წლის სექტემბრის შემდეგ თურქეთში იმყოფებოდნენ. ისინი თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის შუამავლობით დადებული შეთანხმების ფარგლებში გათავისუფლდნენ რუსეთის ტყვეობიდან. მაშინ შეთანხმების ერთ-ერთ პირობად დასახელდა, რომ „აზოვის“ მეთაურები საბრძოლო მოქმედებების დასრულებამდე თურქეთში დარჩებოდნენ. რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერმა, დიმიტრი პესკოვმა „აზოვსტალის“ მცველების სამშობლოში დაბრუნების გამო უკრაინა და თურქეთი შეთანხმებების დარღვევაში დაადანაშაულა.

პესკოვის თქმით, „აზოვსტალიდან“ მეთაურების დაბრუნება უკრაინაში არსებული ხელშეკრულებების პირობების დარღვევაა, ხოლო ეს პირობები დაარღვია როგორც თურქულმა მხარემ, ასევე კიევმა.

როგორც რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერი აცხადებს, აზოვსტალის მცველების უკრაინაში გადაყვანის შესახებ რუსეთს არავინ შეატყობინა და ტყვეების გადაცემის მიზეზი, სავარაუდოდ, უკრაინის კონტრშეტევის ჩავარდნას უკავშირდება. შეთანხმებების პირობების თანახმად, „აზოვსტალის“ მცველები თურქეთში კონფლიქტის დასრულებამდე უნდა დარჩენილიყვნენ.

# ბერლინი უკრაინის ნატოში გაწევრების წინააღმდეგია

**ბრიტანული „ტელეგრაფის“ ცნობით, ბერლინს უკრაინის ნატოში გაწევრების საკითხის გადადება სურს, რადგან რუსეთთან შესაძლო ომის საშიშროებას ხედავს.**

მომდევნო კვირაში ვილნიუსში დაგეგმილ ნატოს სამიტზე გერმანია გამოვა მოწოდებით, რომ მოკავშირეებმა ყურადღება გაამახვილონ უკრაინის უსაფრთხოების გარანტიებზე და არა უკრაინის ნატოში გაწევრების თემაზე. „ტელეგრაფის“ ცნობით, ბერლინს არ სურს, რომ პუტინმა გამოცადოს ნატოს წესდების მეხუთე მუხლი ანუ კოლექტიური თავდაცვა. ეს მუხლი ითვალისწინებს, რომ ნატო-ს ერთ წევრ სახელმწიფოზე თავდასხმა მთელ ალიანსზე თავდასხმას ნიშნავს. მანამდე უკრაინის ნატოში გაწევრების საკითხზე ისაუბრა აშშ-ის პრეზიდენტმა. ჯო ბაიდენმა თქვა, რომ ეს ნაადრევია, რადგან ამ თემაზე ალიანსში ერთსულოვანი პოზიცია არ არსებობს.

## 60-კილომეტრიანი ისტორიული სიმაგრე აფხაზეთში

# კელასურის დიდი კედელი



**კელასურის კედლის ნაშთები ინგრევა და მცენარეებით იფარება. ისტორიული კედელი, რომლის სიგრძე სულ მცირე 60 კილომეტრი იყო, ოკუპირებულ ტერიტორიაზეა. ერთ-ერთი ვერსიით, კედელი ბიზანტიელებმა სპარსელებისგან თავის დასაცავად ააშენეს.**

**„კელასურის კედლის ძირითადი იერსახე შენარჩუნებულია, მაგრამ ბევრგან ხე-მცენარეებითაა დაფარული, ინგრევა და კონსერვაცია სჭირდება“,** – ამბობს **ანა დუმბაძე**, წარმომადგენელი ორგანიზაციისა „მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“.

## ციხე კლისურისა

**სიმაგრეების ამ სისტემას რამდენიმე სახელით მოიხსენიებენ: კელასურის კედელი, აფხაზეთის დიდი კედელი... ქართულ ისტორიულ წყაროებში ასეთი სახელწოდებაც გვხვდება – ციხე კლისურისა.**

სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი ბეჟან ხორავა ამბობს, რომ კელასურის კედელი მეექვსე საუკუნეში ბერძნებმა ააშენეს, სპარსელების შესაჩერებლად. კედელი იწყებოდა იმ ადგილას, სადაც მდინარე კელასური ზღვას უერთდება. იქ დღემდე დგას ციხის ნაშთები, რომელსაც კელასურის ციხეს უწოდებენ. კედელი მდინარის მარცხენა ნაპირს მდინარე მაჭარის ხეობამდე მიუყვებოდა, იქ კი ჩრდილო-დასავლეთით უხვევდა.

კედელი თითქმის ტყვარჩელამდე აღწევდა. მისი სიგრძე სულ მცირე 60 კილომეტრი იყო. კედელსა და კედელს შორის, ხეობებში ციხესიმაგრეები იყო ჩადგმული.

**„640-662 წლებში ეგრისის სამეფო ხან სპარსელებს იწვევდა ბიზანტიელების წინააღმდეგ, ხან პირიქით. ეს კედელიც მაშინ ააშენეს ბერძნებმა სპარსელების შესაჩერებლად. კლისურა ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს და ვიწროს ნიშნავს, სწორედ ასეთ ვიწროებეშია აგებული კედელი. მდინარესაც აქედან ეწოდა კელასური“,** – ამბობს **ბეჟან ხორავა.**

მერვე საუკუნის მიწურულს ამ ტერიტორიაზე აფხაზთა სამეფო ყალიბდება. ბეჟან ხორავას თქმით, ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში კედელს ფუნქცია აღარ ჰქონდა და მოუვლელობის გამო დაინგრა.

ის გაახსენდათ მე-17 საუკუნეში, როდესაც ამ მიწების გამო ისევ ომი გაჩაღდა. კედელი ხელმეორედ ლევან მეორე დადიანმა ააშენა, ის 1611-1657 წლებში ოდიშის მთავარი იყო.

სწორედ აქ იყოფა ისტორიკოსების აზრი. ნაწილი მიიჩნევს, რომ დღეს შემორჩენილი კედლის ნაშთები მხოლოდ მე-17 საუკუნისაა. მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ ის დადიანმა კელასურის ძველი კედლის საძირკველს დააშენა და ბიზანტიური პერიოდის ნაშთებსაც მოიცავს.




კელასურის კედელი არქანჯელო ლამბერტის რუკაზე

## ღამის გუშაგი

**საუკუნეების განმავლობაში აფხაზეთისა და სამეგრელოს პირობითი საზღვარი რამდენჯერმე შეიცვალა. ბეჟან ხორავა ჰყვება, რომ მე-17 საუკუნის დასაწყისამდე ის გადიოდა ანაკოფიასთან (დღევანდელი ახალი ათონი), მდინარე ფსირცხასთან. მე-17 საუკუნის 30-იან წლებში – სოხუმის ტერიტორიაზე, მდინარე ბესლეთზე.**

მაგრამ ბესლეთის ზოლი ცუდად იყო გამაგრებული, ამიტომ ლევან დადიანი იძულებული გახდა კელასურამდე დაეხია და იქ კედელი ხელმეორედ აეგო. მაშინ ოდიშში სულ მცირე 15 სათავადო და 6 საეპისკოპოსო იყო. მათ ამ კედელზე სადარაჯოდ ჯარის გამოყვანა და ამ ჯარის სანოვაგით მომარაგება ევალებოდათ.

## დადიანის ცოლი

**ლევან დადიანს ცოლად შერვაშიძის ქალი ჰყავდა. ისტორიკოსი გია ანჩაბაძე ამბობს, რომ დადიანს აფხაზეთთან თავიდან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ცოლი ღალატში დაადანაშაულა, ცხვირი მოაჭრა და მამას დაუბრუნა.**

ლევან მეორე დადიანი საკუთარ ბიცოლაზე იყო შეყვარებული და ცოლის მოშორება ხელს აძლევდა. ცხვირმოჭრილი ქალის მშობლიურ სახლში დაბრუნების მერე სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა.

**„ლევან დადიანი საკმაოდ აგრესიული მმართველი იყო, აფხაზეთსაც ეომებოდა, იმერეთსაც, გურიასაც, სვანეთთანაც ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. აფხაზეთიდან თავდასხმები რომ გაძლიერდა, იქ კედელი ააშენა“,** – ამბობს გია ანჩაბაძე.

თუ ვის წინააღმდეგ არის აშენებული სიმაგრე, ამას ისტორიკოსები იმის მიხედვით არკვევენ, თუ რომელ მხარეს აქვს დატანებული სათოფურები. კელასურის კედლის ფრაგმენტებს სათოფურები ჩრდილოეთით, აფხაზეთის მხარეს აქვს.

**„ვფიქრობ, დღეს რაც არის დარჩენილი, ეს სწორედ დადიანის აშენებული კედელია. თუმცა, არის ცნობები, რომ ამავე ადგილებში, უფრო ადრე იყო სხვა კედელიც, კლისურა, რომელიც, პირიქით, სამხრეთიდან მომავალი მტრისგან თავის დასაცავად ააშენეს. არ შეიძლება, ერთი და იგივე კედელი ხან ჩრდილოეთისგან გიცავდეს, ხან სამხრეთისგან. ამიტომ ვფიქრობ, რომ დადიანის აშენებული სხვაა და უფრო ადრე კიდევ სხვა იყო“,** – ამბობს **გია ანჩაბაძე.**

პოლიტიკური მიზეზების გამო, კელასურის კედელი სრულყოფილად შესწავლილი არ არის. გარდა ამისა, ორგანიზაციამ „მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“ გაარკვია, რომ მას დღემდე არა აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

**„ჩვენდა გასაოცრად აღმოვაჩინეთ, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიან მონაცემთა ბაზაში კელასურის კედელს (აფხაზეთის დიდი კედელი) VI-XVII-სს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არ გააჩნია... გთხოვთ, დაუყოვნებლივ დაიწყოთ პროცედურები კელასურის კედლის გაძეგლებასთან დაკავშირებით“,** – მიმართა ორგანიზაციამ კულტურის სამინისტროს.

ძეგლის სტატუსი საერთაშორისო ორგანიზაციებს მისი დაცვის შესაძლებლობის გამონახვას გაუადვილებს.

**თეა თოფურია,**
**„რადიო თავისუფლება“**



# კატერის მძღოლმა თუ მეპატრონემ ოთხივე ადამიანი სასიკვდილოდ გაწირა

ბათუმში, ზღვაში გარდაცვლილი მოზარდის, ლუკა აბულაძის ბიძა მომხდარის დეტალებზე საუბრობს.

**„ეს ბავშვები როცა ჩაცვივდნენ წყალში, ამ კატერის მეპატრონეა თუ მძღოლია, ვინც არის, ჟილეტები არ მისცა. ამაზე აღძრულია საქმე. ფაქტობრივად, ასე გამოდის, რომ ოთხივე გაწირა სასიკვდილოდ“,** – აცხადებს თენგიზ აბულაძე.

შსს-ს ცნობით, ბათუმში 4 ივლისს გაუჩინარებული მოზარდის, ლუკა აბულაძის ცხედარი მაშველებმა ზღვაში, ნაპირიდან 2 კილომეტრის მოშორებით ნახეს – ფაქტზე 1 ადამიანი არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, ორი კი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით არის დაკავებული.

# ისევ ავარიები, ისევ მსხვერპლი!



**მესტიის მუნიციპალიტეტის მულახის ადმინისტრაციულ ერთეულთან, უშგულის გზაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ორი ახალგაზრდის სიცოცხლე ემსხვერპლა.**

**მანქანა მოცურდა და ხევში გადავარდა, შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. ორივე გარდაცვლილის ცხედარი ნაპოვნია. არსებული ინფორმაციით, უამინდობის გამო გზებზე დაბალი ხილვადობა იყო.**

* * *

**ონში ავტოსაგზაო შემთხვევას 11 წლის მოზარდის სიცოცხლე შეეწირა.**

**„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ონში მომხდარი ტრაგედიის გამო, რასაც 11 წლის თედო (ნიკოლოზ) მეტრეველის სიცოცხლე შეეწირა.**

**ვუსამძიმრებ ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მეგობრებს და გამძლეობას ვუსურვებ მათ“. ვკითხულობთ ონის მუნიციპალიტეტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.**

* * *

**გომბორის მონაკვეთზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 30 წლამდე ახალგაზრდა კაცი დაიღუპა. ძლიერი შეჯახების შედეგად, მოტოციკლის მძღოლი გარდაიცვალა.**

**თვითმხილველების ინფორმაციით, 30 წლამდე კაცმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და „ოპელის“ მარკის ავტომობილს შეეჯახა. მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.**

**„ს. რ.“-ის რედაქცია თანაუგრძნობს გარდაცვლილთა ოჯახებს და სრულიად საქართველოს...**

# „ჯარის ბანაკში“ მოსწავლეების როტაცია დასრულდა

**გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიაში აქტიურად მიმდინარე საზაფხულო პროექტის, „ჯარის ბანაკის“ ერთი როტაცია დასრულდა. დღეიდან კი „ჯარის ბანაკი“ ბავშვების ახალ ნაკადს უმასპინძლებს.**

წელს სერჟანტთა აკადემიაში მოწყობილი „ჯარის ბანაკი“, საერთო ჯამში, ბავშვების რვა როტაციას მიიღებს და 18 აგვისტოს, ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის დაბადების დღეზე მომავალ წლამდე დაიხურება. აღნიშნულ როტაციაზე „ჯარის ბანაკს“ თბილისის, გორის, ვალეს, ახალციხისა და ახალქალაქის სკოლების მოსწავლეები სტუმრობდნენ. ბანაკში ყოფნის ბოლო დღეს მათ კოჯორში სამთო მომზადება ჩაუტარდათ, ვაზიანის მე-4 ქვეითმა ბრიგადამ კი სპეციალურად ბავშვებისთვის სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების გამოფენა მოაწყო. სამხედრო ქვედანაყოფში მოსწავლეებს სიმულაციურ ცენტრში სხვადასხვა იარაღიდან სროლისა და ერთმანეთთან შეჯიბრის საშუალებაც მიეცათ. ხუთდღიანი პროგრამის დასასრულს სერჟანტებმა ბავშვებს სამახსოვროდ „ჯარის ბანაკის“ სასაჩუქრე ჩანთები გადასცეს და მათთან ერთად იმხიარულეს.



**„ჯარის ბანაკი“ – დაუვიწყარი თავგადასავლებისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინიცირებით დაიწყო და მას თავდაცვის სამინისტრო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად წელს პირველად ახორციელებს. პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდა თაობაში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და ქართული ჯარის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას“,** – აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.



# ჩაუქრობელი კერეონი — გურამ გოგიაშვილი



**გურამ გოგიაშვილმა არაერთი მონაგრით გაამდიდრა მშობლიური მწერლობა. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც გენიალური რაბლეს ტექსტის გადმოენება გახლავთ. ამ ნახელავით სიტყვის ოსტატმა სამარადისოდ აანთო ჩაუქრობელი კერეონი — გურამ გოგიაშვილი.**

ამ შესანიშნავ ფაქტს გამოეხმაურა მაშინ ახალგაზრდა კრიტიკოსი **მურმან თავდიშვილი.** მისი წერილი დაიბეჭდა 1979 წლის „საუნჯის" მეექვსე ნომერში.

ავტორის თავაზიანი თხოვნით გთავაზობთ ამ მასალას უცვლელად. „საქართველოს რესპუბლიკაში" ამ ნამცვრევის პუბლიკაცია ახლახან გარდაცვლილი გურამ გოგიაშვილის ხსოვნას ეძღვნება.

## რაბლე ლაპარაკობს ჭეშმარიტ ქართულს

ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ვიცინით, რომ არ ვიტიროთ — ამ ძველი გამოთქმის მთელი სიცხადით წარმოდგენა სწორედ ფრანსუა რაბლეს შემოქმედების გაცნობისას არის შესაძლებელი და, თუ შექსპირის პიესებში მიმოზნეულ სიცილს სარჩულად ცრემლი ასდევნებია, ფრანგი მწერლის თხზულებებში შუშხუნა იუმორი ისე ბუნებრივად ერთვის დედააზრს, როგორც თავანკარა, წყალმარჩხი ნაკადული — დედამდინარეს. რაბლე აღორძინების კიდევ ერთ ფიგურას ეხმიანება — ეს გახლავთ სულხან-საბა ორბელიანი, ვისი მოძღვრებაც სწავლა-აღზრდის თაობაზე მრავალ წერტილში თანხვდება „გარგანტუასა" და „პანტაგრუელის" ავტორის დიდაქტიკას; ოღონდ, რამდენადაც ამ ორი მოაზროვნის მოძღვრება ერთიანობას ამჟღავნებს აზრობრივი თვალსაზრისით, იმდენად განსხვავებულია მათი სტილი: სულხანი მკაცრი სტილისტი, ლაკონიური, ლაპიდარული, დაკუმშული ენის პატრონია, ყველა ხელოვანზე უკეთ რომ ფლობს ერთ დიდ ხელოვნებას — „წერტილის დროზე დასმის ხელოვნებას" (აკაკი გაწერელია); ფრანსუა რაბლე კი უხვადმეტყველი მჭევრია, ოღონდ მდოვრე, მსუყე და შედედებულია მისი ენობრივი ფენომენი, ბარაქიანი, ძარღვიანია მისი ფრაზა. „რაბლეს ენა გენიის ისეთივე გაბედული ქმნილებაა, როგორიც მისი რომანი" (გ.ბუაჩიძე). აქედან ამ ორი ოსტატის თხზულებათა თარგმნის პრობლემაც: თუ შედარებით ადვილი საქმეა „სიბრძნე სიცრუისას" სხვათა ენაზე გადატანა, ძალზე ძნელია ფრანგი შემოქმედის სიტყვებში მოქცეული პოეზიის ადეკვატურად გადმოცემა. მით უფრო, რომ რაბლე ამბის მონა კი არ არის, არამედ შემოქმედებითი თავისუფლების ტყვეა და სწორედ ამგვარ თავისუფლებას ახასიათებს „სწორი უსწორმასწორობა" (არისტოტელე), რომლის უხინჯოდ და უდანაკარგოდ გადმოქართულებაც დიდი პრობლემაა. გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის მკაცრი პოლემიკა ი. კობლოვის „შეშლილის" თარგმანის ირგვლივ. ქართველთა შორის ფრანსუა რაბლეს დიდი და პირველი დამფასებელი ხომ სწორედ შეშლილის სიტყვების („სწორი უსწორმასწორობის") უჯეროვნოდ გადმოღებას უსაყვედურებდა რევაზ ერისთავს.

რაბლეს „გარგანტუა" სწორედაც რომ უცნაური და უცხოფერი ნაწარმოებია, რადგან როგორც პერსონაჟთა, ისე თვით ავტორის მეტყველებაშიც ვამჩნევთ იუმორის, გროტესკისა და სერიოზული მსჯელობის ისეთ ნაზავს, სადაც თვით სავსებით რეალურსა და დამაჯერებელსაც „უცნაური" ელფერი ედება, როგორც ნეონის შუქზე აბრწყინებულ სრულიად ჩვეულებრივსა და ყოველდღიურ საგნებს. ამ მხრივ დაუძლეველად რთული გვეჩვენება მაგისტრის სიტყვა გარგანტუას მიმართ, თამაშობანი გარგანტუასი და სხვა. საჩინოა მთარგმნელ გურამ გოგიაშვილის ხელოვნების მეთოდის სიზუსტე. ჯერ კიდევ არისტოტელე იტყოდა ხოლმე: „განსხვავება გაბატონებული ლაპარაკის ჩვეულებრივი ფორმისაგან მოაშორებს ნათქვამს სიტლანქესო" („პოეტიკა"). ამ სიტლანქის წინააღმდეგ გამოდის გ. გოგიაშვილის მიერ არჩეული ოდნავ არქაიზებული სტილი. ამგვარი მეტყველება, მეორე მხრივ, რაბლეს ეპოქის ენობრივი კოლორიტის განცდასაც ქმნის. შესაშური სიზუსტით გამოუჩხრეკია ძველქართული სიტყვები და გამოთქმები მთარგმნელს (სიღოდა, გარნა, რამეთუ, ვითარმედ...) და ფაქიზად, რაბლეს მხატვრული მეტყველების, სტილის გათვალისწინებით ჩაურთავს ტექსტში. ჯერ ქართულ თამაშობათა ჩამოთვლა რადა ღირს! მათ უნდა დავაჯობნოთ ორლესულ სიტყვა-ზმათა მარულა წიგნის 51-ე გვერდზე და კიდევ ერთი — ფრანსუა რაბლე დიდებული პოეტიცაა, მისი სტროფები შესაბამისი ოსტატობით აუჟღერებიათ.

საჭაშნიკოდ ერთი პროზაული ადგილი გავსინჯოთ, რომელიც აკლდამაში გარგანტუას საგვარტომო ნუსხის ძიებას ეხება: „**ბევრი უარეს თუ ცოტა უარეს, ბოლოს ადგნენ და ზედ იმ ადგილას შეტეხეს, სად სასმისი იყო გამოსახული და გარშემო კი ეტრუსკულ ასოთა დასხმით ეწერა: აქა ღლევენ; შეტეხეს და ცხრა ჭინჭილა ერთიმეორეზედ ისერიგად მიწყობილი ნახეს, ვითარ გასკონელთ კეგლთა ჩარიგება იციან. შუალა ჭინჭილისა ქვეშე წიგნი რამ იდო ვეებერთელა, თვალთმიმზიდველი, ქვედამზიდველი, მწვირიანი, კოხტა, კოკროჭინა და ობიანი, სუნი ვარდის უმეტესად სდიოდა, ოღონდ, ვაგლახ, ვარდისა სუნი არ იყო".**

და კიდევ ერთი პროზაული ნაწყვეტი, ბახუსის სადიდებლად რომ დაუქარგავს რაბლეს:

**„— რაც მეტს დავლბებით, უფრო ჩავტკბებით!**

**— თეთრი დაასხი, თეთრი! სულ ჩამოასხი, გულ-მუცელი მეწვის, გაალიცლიცე!**

**— ჰა, არ მივუჭახუნოთ, რას იტყვი, მოსაგრევ!**

**— მივუჭახუნოთ და მივუჭახუნოთ! შენი გამარჯვებისა იყოს!**

**— ღმერთივით ღვინოა!**

**— ღვინო კი არა, ნამდვილი ხავერდია!**

**— ოჰ, ოჰ, ოჰ, ამისთანა ტყუილია! ჩადის, მაგრამ რა ჩადის! ცალყურაში ჩამოასხი, იმაში ბევრი ჩადის!**

**— მსმელნო, ძველნო, მწყურვალნო, მაგ წყურვილში გენაცვალეთ!**

**— აბა, ჰა, აზნაურიშვილო, ისე ჩამოუშვი, სასმურსა გვირგვინი დაადგეს!**

**— კარდინალის სკარამანგსავით წითლისა დაასხი!**

**— ფრჩხილზედ დავიწურე, ისიც შევსვი, მეტი რაღა ვქნა!**

**— ეგრე, ეგრე, ბრეტონულადა ვყლურწოთ!**

**— მოყუდება და დაცლა ერთი იყოს!**

**დალიე, დალიე, პირდაპირ მალამოა!"**

თავისთავად იგულისხმება: მთარგმნელი ამ შემთხვევაში არაა პწკარედივით ერთგული კაცი. ხალხური ცხადი, მკაფიო ქართულის დვრიტასთან თანაზიარია და სულ ერთთავად იმის ცდაშია, სამეტყველო ერთეულთა შორის უფრო ფაქიზი, კონტექსტურად ესთეტიკური მოიძიოს და მიაგნოს, რითაც ესდენ უხვად არის მომადლებული ქართული „გარგანტუა". ეს შედარებაც მხოლოდ იმისთვის იქნება ცხადი და თვალნათლივი, ვისაც მანდარინის ხე საკუთრივ გაუკრეფია: დადიხარ ციტრუსოვნის ირგვლივ, უჭიატებ მწვანედ ახასხასებულ ტოტებს, ფოთლებს. სუფთად გაკრეფილია. არც ერთი ნაყოფი არ ჩანს, მაგრამ საკმარისია ხელი შეახო რომელიმე ხოშორ რტოს, მოგრძო ფოთოლი ხრაშახრუშით გადაიწევა და ათქვირებულ ყვითელ გულმკერდს გიჩვენებს ოქროს ნაყოფი — ყველაზე უკეთესი დაკრეფილთა შორის. ასეთია „გარგანტუას" ქართული თარგმანი. რაც უნდა გულდასმით წაიკითხო და მოისთვლიანო მისი ენობრივი სიღრმენი, თუ ერთხელ კიდევ დაუბრუნდები, მასში უცილოდ აღმოაჩენ აქამომდე მიმალულ ოქროსფერ ნაყოფს — ხიბლიან ენობრივ მოსაქცევს, მკვეთრ ფრაზას, სხივიან თქმას ...

გასტონ ბუაჩიძე წერს: ვინაიდან შექსპირისეული ტირილის ღირსეული მოპასუხე სხვაზე უფრო მეტად ისევ და ისევ რაბლეს სიცილია, ამიტომ შესანიშნავად გადმოქართულებული შექსპირის გვერდით რაბლეს ქართულ ენაზე ამეტყველება უკანასკნელ დრომდე არსებული ერთგვარი დისპროპორციის თავიდან აცილებასა და ჰარმონიის აღდგენას მოასწავებსო. მე კი დავსძენდი: ჰარმონია აღდგა ორი ტექსტის ენობრივი ღირსებების თვალსაზრისითაც.

**მურმან თავდიშვილი.**

ცხინვალის გაზეთი 90 წლისაა!

## სამშობლოში დევნილნი კალმითაც იბრძვიან!

**„სიმართლის გამარჯვებასა, მთაზე არწივი ჰყიოდეს" — ვკითხულობთ „ცხინვალის მაცნეს" თავფურცელზე წამძღვარებულ ვაჟას უკვდავ სტრიქონს.**

მართლაც, დევნილობაში კიდევ უფრო გასალკლდევებული სამაჩაბლოს რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი ჭეშმარიტების დასამკვიდრებლად ხმალამოღებული მებრძოლი ჟურნალისტის **რობერტ ოდიკაძის** რედაქტორობით ქართული სიტყვის ერთგულ მსახურად რჩება და მის გადასარჩენად, ტრადიციისამებრ, განგაშის ზარებს არისხებს.

აღარაფერს ვამბობთ ისტორიული ბედუკუღმართობით შობილ მწარე რეალობაზე, ერის წყლული რომ შიდა ქართლს დაჭრილ სხეულზე დღემდე მოუშუშებელ იარად ამჩნევია.

გადაფურცლეთ აწ უკვე 90 წლის გამოცემის საიუბილეო ნომერი და დარწმუნდებით აღნიშნულის სინაღდეში. მადლიერების ნიშნად მხოლოდ მის ყოფილ თავკაცთა ნუსხას გადავხედოთ: მამანტი კვირტია, შალვა მაჭავარიანი, ვლადიმერ გელაშვილი, არჩილ მამისაშვილი, ვახტანგ მაისურაძე, შიო ლარცულიანი, ვასილ კასრაძე, მიხეილ შერაზადიშვილი („საბჭოთა ოსეთი"), ვასილ საბანაძე, ნელი ჩალაური („შიდა ქართლი").

**საეტაპო თარიღს გილოცავთ, ძვირფასო კოლეგებო!**




## ჯილდო გიორგი კალანდიას

**გიორგი კალანდიას 15-ტომეული „ქართველები მსოფლიო ისტორიაში" პრესტიჟული შვეიცარიული ჯილდოს მფლობელი გახდა.**

შვეიცარიის ბიზნესასოციაციის რეიტინგში მან დაიკავა პოზიცია „საუკეთესო საქართველოში" (Best of Georgia). თავად გიორგი კალანდიას სპეციალური მედალი გადაეცა.

**...საუკუნეების განმავლობაში არაერთი ქართველი აღმოჩნდა სამშობლოდან შორს. ისინი მიდიოდნენ სხვადასხვა მიზეზით. მათი უმრავლესობა მართლაც უკვალოდ გაქრა. თუმცა ბევრის სახელი და საქმე სხვადასხვა ქვეყნის ისტორიამ შემოინახა.**




15-ტომეულზე ავტორი წლების განმავლობაში მუშაობდა. გამოცემები ქრონოლოგიურად მოგვითხრობს იმ ქართველების შესახებ, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიაში. ისტორიები იწყება უძველესი დროიდან და 1950 წლამდე გრძელდება.

**ამ მნიშვნელოვანი გამოცემისთვის, ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია მასალას მსოფლიოს მასშტაბით 10 წლის განმავლობაში ეძიებდა. წიგნში საქართველოს საზღვრებს მიღმა მცხოვრები და მოღვაწე ქართველების შესახებ მოცემული ინფორმაცია უიშვიათესი რეპროდუქციებითა და ფოტოებითაა გამდიდრებული.**

## ღია კარის დღე დაჭრილ-დაშავებული სამხედროების შვილებისთვის

**ᲬᲔᲠᲝᲕᲐᲜᲨᲘ, მარიამ (მარო) მაყაშვილის სახელობის სამხედრო მოსამსახურეების სარეაბილიტაციო ცენტრში, დაჭრილ-დაშავებული მებრძოლების დღისადმი მიძღვნილი კვირეული მიმდინარეობს.**

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კვირეულის ფარგლებში დაჭრილ-დაშავებული სამხედროების შვილებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ღია კარის დღე გაიმართა. მოწვეულ სტუმრებს



ბაზაზე გამოფენილი სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების დათვალიერების შესაძლებლობა ჰქონდათ. ღონისძიება სხვადასხვა სპორტული და შემეცნებითი აქტივობით იყო დატვირთული. სპეციალურად ბავშვებისთვის მოწვეულმა გასართობი ცენტრის წარმომადგენლებმა პოპულარული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები წარადგინეს და ბავშვებს საზეიმო განწყობა შეუქმნეს. ღონისძიების ფარგლებში „მხიარული სტარტებიც" მოეწყო.

**ევროპის პროფესიული კლუბების რაგბიმ (EPRC), რომელიც ორი მსხვილი საკლუბო ტურნირის – ჰეინეკენ ჩემპიონთა თასისა და ჩელენჯ თასის ორგანიზატორია, ქართული რაგბი თავის დიდ ოჯახში მიიღო.**

უკვე გადაწყვეტილია, რომ პირველი პროფესიული ქართული ფრენჩაიზი „შავი ლომი" წვეული გუნდის სტატუსით 2023-2024 წლების ჩელენჯ თასზე ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რაგბის ქართველ ქომაგს თბილისში საფრანგეთის ტოპ 14-ის, ინგლისის პრემიერშიფის და გაერთიანებულ რაგბის ჩემპიონატში მოთამაშე ირლანდიური, უელსური, შოტლანდიური, იტალიური და სამხრეთაფრიკული წამყვანი კლუბების ხილვის შესაძლებლობა ექნება.

ტურნირს ორი წვეული გუნდი ჰყავს: პირველი – სამხრეთაფრიკული „ტოიოტა ჩიტაზი" და მეორე – „შავი ლომი"!

„შავი ლომი" მესამე ჯგუფში ფრანგულ „კასტრთან" და „კლერმონთან", შოტლანდიურ „ედინბურგთან", ინგლისურ „გლოსთერთან" და უელსურ „სკარლეტსთან" ერთად ითამაშებს.

პირველ ჯგუფში მოხვდნენ ფრანგული „პო" და „ოიონა", უელსური „დრაგონსი", იტალიური „ძებრე", სამხრეთაფრიკული „შარქსი" და კიდევ ერთი წვეული გუნდი, სამხრეთაფრიკული „ჩიტაზი".

მეორე ჯგუფში ითამაშებენ ფრანგული „პერპინიანი" და „მონპელიე", უელსური „ოსფრიზი", ინგლისური „ნიუკასლი", სამხრეთ აფრიკული „ლაიონსი" და იტალიური „ბენეტონი".

ჯგუფურ ეტაპზე თითოეული გუნდი 4-4 შეხვედრას გამართავს – ორს შინ და ორს სტუმრად, რაც იმას ნიშნავს, რომ ორი ტოპ-კლუბის თბილისში ხილვის შესაძლებლობა გარანტირებულად გვექნება. თითოეული ჯგუფიდან ფლეი ოფში ოთხ-ოთხი მოწინავე გადის, რომლებსაც ჰაინეკენ ჩემპიონთა თასიდან ოთხივე ჯგუფის მეხუთეადგილოსანი დაემატება. რომელ გუნდებთან მოუწევს თამაში „შავ ლომს" და სად, მოგვიანებით გაირკვევა.




# კეთილი იყოს ჩვენი შებრძანება!

### ჰეინეკენის ჩემპიონთა თასი და ჩელენჯ თასი

**1995 წელს, რაგბის პროფესიულ რელსებზე გადასვლის შემდეგ, დღის წესრიგში ევროპის საერთაშორისო საკლუბო ტურნირების გამართვის საკითხი დადგა. შეიქმნა შპს ევროპის სარაგბო თასი, რომელსაც მაშინდელი ხუთი ერის კომიტეტი მართავდა და 1995/96 წლებში ჰეინეკენის თასის პირველი ტურნირი გაიმართა, მომდევნო სეზონში კი მას ჩელენჯ თასიც დაემატა.**

2012 წელს ინგლისურმა და ფრანგულმა კლუბებმა ევროპის სარაგბო თასის ორგანიზატორებს აცნობეს, რომ მისი შემადგენლობიდან გადიოდნენ. სიტუაციის დასარეგულირებლად 2014 წელს ჩამოყალიბდა ევროპის პროფესიული კლუბების რაგბი, რომელმაც ჰეინეკენის ჩემპიონთა თასისა და ჩელენჯ თასის გამართვა საკუთარ თავზე აიღო. ორგანიზაციამ ბინა შვეიცარიაში, ლოზანაში დაიდო.

თავდაპირველად ტურნირებში მხოლოდ ევროპის წამყვანი სარაგბო ქვეყნების კლუბები მონაწილეობდნენ, გასული სეზონიდან კი მასში სამხრეთაფრიკული ფრენჩაიზებიც ჩაერთვნენ.

2023/2024 წლების ჰეინეკენის ჩემპიონთა თასისა და ჩელენჯ თასის გათამაშებები 8 დეკემბერს იწყება. ჯგუფურ ეტაპზე თითოეული გუნდი 4 თამაშს გამართავს – ორს შინ და ორსაც სტუმრად, რის შემდეგაც ოთხსაფეხურიანი ფლეი ოფები დაიწყება. ფინალური შეხვედრები (ორივე ტურნირის) 2024 წლის მაისში, ლონდონში, „ტოტენჰემ ჰოთსფურის" სტადიონზე გაიმართება.

ჰეინეკენის ჩემპიონთა თასზე 24 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ოთხ 6-გუნდიან ჯგუფში არიან გადანაწილებული. თითოეული ჯგუფის მოწინავე ოთხეული ფლეი ოფში გადის, მეხუთეადგილოსნები კი ჩელენჯ თასზე გადაინაცვლებენ.

ჩელენჯ თასზე 18 გუნდი სამ 6-გუნდიან ჯგუფშია განაწილებული და 4-4 საუკეთესო თასისთვის აგრძელებს ბრძოლას. ჩელენჯ თასის გამარჯვებული მომავალ სეზონში ჰეინეკენის ჩემპიონთა თასის საგზურს მიიღებს. „შავი ლომისთვის" ეს ერთადერთი შესაძლებლობაა ჩემპიონთა თასზე მოსახვედრად.

ტურნირების არსებობის განმავლობაში ჩემპიონთა თასი ყველაზე ბევრჯერ ფრანგულმა კლუბებმა მოიგეს (11), მეორე ადგილზე ინგლისური გუნდები არიან (10), მესამეზე კი ირლანდიური (7). თასი 5-ჯერ მოიგო ფრანგულმა „ტულუზმა", 4-ჯერ ირლანდიურმა „ლენსთერმა", 3-3-ჯერ კი „სარასენსმა" (ინგლისი) და „ტულონმა" (საფრანგეთი).

2022/2023 წლების სეზონის ფინალში „ავივა სთედიუმზე" ფრანგულმა „ლა როშელმა" „ლენსთერი" 27:26 დაამარცხა და ზედიზედ მეორედ გახდა ჩემპიონი. ფინალურ შეხვედრას 51 711 მაყურებელი დაესწრო.

ჩელენჯ თასი 12-12-ჯერ აქვთ მოგებული ფრანგულ და ინგლისურ გუნდებს, 2-ჯერ უელსელებს და ერთხელ ირლანდიელებს. თასის მფლობელები ყველაზე მეტჯერ გახდნენ ფრანგული „კლერმონი" და ინგლისური „ჰარლიქვინზი". 2022/2023 წლების სეზონის ფინალში **ბექა გიგაშვილის** „ტულონმა" შოტლანდიური „გლაზგო" 43:19 დაამარცხა.

გასულ სეზონში EPRC-ის აუდიტორიამ ჯამში 71 მილიონი გულშემატკივარი შეადგინა, რომლის დიდი წილი საფრანგეთზე მოდის.

### 2023/24 წლების ჩემპიონთა თასის ჯგუფები

პირველი ჯგუფი: **სარასენსი (ინგლისი), ბორდო (საფრანგეთი), ბულსი (სამხრეთ აფრიკა), ბრისტოლი (ინგლისი), ქონოთი (ირლანდია), ლიონი (საფრანგეთი);**

მეორე ჯგუფი: **ტულუზა (საფრანგეთი), კარდიფი (უელსი), ბათი (ინგლისი), რასინგ 92 (საფრანგეთი), ჰარლიქვინზი (ინგლისი), ალსთერი (უელსი);**

მესამე ჯგუფი: **მანსთერი (ირლანდია), ბეიონი (საფრანგეთი), გლაზგო (შოტლანდია), ექსეთერი (ინგლისი), ტულონი (საფრანგეთი), ნორსჰემპტონი (ინგლისი);**

მეოთხე ჯგუფი: **ლა როშელი (საფრანგეთი), სტად ფრანსე (საფრანგეთი), ლესთერ თაიგერსი (ინგლისი), სტორმერსი (სამხრეთ აფრიკა), ლენსთერი (ირლანდია), სეილ შარქსი (ინგლისი).**

### 2023/24 წლების ჩელენჯ თასის ჯგუფები

პირველი ჯგუფი: **ტოიოტა ჩიტაზი (სამხრეთ აფრიკა), პო (საფრანგეთი), დრაგონსი (უელსი), ძებრე (იტალია), ოიონა (საფრანგეთი), შარქსი (სამხრეთ აფრიკა);**

მეორე ჯგუფი: **ოსფრიზი (უელსი), პერპინიანი (საფრანგეთი), ნიუკასლი (ინგლისი), ლაიონსი (სამხრეთ აფრიკა), მონპელიე (საფრანგეთი), ბენეტონი (იტალია);**

მესამე ჯგუფი: **ედინბურგი (შოტლანდია), კასტრი (საფრანგეთი), კლერმონი (საფრანგეთი),** შავი ლომი (საქართველო), **გლოსთერი (ინგლისი), სქარლეთსი (უელსი).**

## ირმას ვერცხლი



**პოლონეთის მსოფლიო თასზე ეტლით ფარიკაობაში ირმა ხეცურიანმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

**მოხმალავეთა ტურნირის მერვედფინალში მან გერმანელ ჰატერს 15:5 მოუგო, მეოთხედფინალში ჩინელი მოწინააღმდეგე აო 15:6 დაამარცხა. ხოლო ნახევარფინალში ქართველმა სპორტსმენმა მეორე ჩინელ ქსიაოს 15:12 აჯობა. ფინალური ბრძოლა ირმამ იტალიელ პასკუინოსთან 11:15 დათმო და, შესაბამისად, მეორე ადგილზე გავიდა.**

**საქართველოს ეტლით მოფარიკავე ქალთა ნაკრები მიმდინარე ტურნირზე ასპარეზობას განაგრძობს. ირმა ხეცურიანი, ნინა თიბილაშვილი და გვანცა ზადიშვილი მედლების მოპოვებას რაპირით ფარიკაობაში ეცდებიან.**

# საფეხბურთო მოზაიკა

**მართალია, 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთის სამშობლოს ქვეშევრდომთა ტრიუმფით უკვე დასრულდა, მაგრამ საქართველოსა და რუმინეთში გამართული ახალგაზრდული ფორუმის დაუვიწყარ დღეებში განვითარებული მოვლენები კიდევ კარგახანს იქნება გულშემატკივართა განსჯის საგანი (ფინალი: ინგლისი – ესპანეთი 1:0. ბოლო წუთზე ესპანელებმა ვერ გაიტანეს პენალტი).**

ამჯერად გაგაცნობთ პოპულარული რუსული გამოცემა სპორტ-ექსპრესის მიერ ჯგუფური რაუნდის შემდეგ ვარსკვლავებად მიჩნეულ ტალანტთა ნუსხას, რომელშიც ქართველები ჭარბობენ: დავითაშვილი, საზონოვი, წიტაიშვილი, გლუხი (ისრაელი), ბარკოლა (საფრანგეთი), როდრი (ესპანეთი), იმერი (შვეიცერია) და ტრეფორდი (ინგლისი).

* * *

**უკვე გაუწყეთ, რომ გიორგი კვერნაძე ფროზინონეში ჩაირიცხა და ამით მომავალ სეზონში იტალიის სერია – ა-ში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა რიცხვი ორამდე გაიზარდა.**

კლუბის სპორტულმა დირექტორმა **გვიდო ანჯელოციმ** ახალწვეულის შესახებ განაცხადა: „ძალიან საინტერესო ბიჭია და მისი ძალიან გვჯერა. ავიყვანეთ და იმედია, ჩვენს გულშემატკივრებს სიხარულს მიანიჭებს. ერთადერთი, რაც კვარაცხელიასთან აქვს საერთო და აკავშირებს, ესაა აგენტი".

* * *

**საქართველოს სუპერთასი.** ფინალი. თბილისის დინამო – ბათუმი 1:1 (პენალტებით – 4:3). ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა მეცხრედ მოიპოვა საპატიო ჯილდო, რაც 9-წლიანი პაუზის შემდეგ გუნდში დაბრუნებული მეკარე **გიორგი ლორიას** დიდი დამსახურებაა. **მატჩი მესამე ადგილისთვის.** ტორპედო – დილა 0:0 (პენალტებით – 5:4).




ბრიტანელთა ტრიუმფი ბათუმში

* * *

**უკრაინის მხარდამჭერი საქველმოქმედო მატჩი 5 აგვისტოს ჩელსის მშობლიურ სტემფორდ ბრიჯზე ფეხბურთისა და შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებს შეკრებს. ისინი შევჩენკოსა და ზინჩენკოს გუნდებში გადანაწილდებიან.**

მიწვეულთა შორისაა **შოთა არველაძე,** რომელსაც ზინჩენკოს რჩეულთა შორის თვით არსენ ვენგერი გაუწევს მწვრთნელობას.

* * *

**უეფამ დააკმაყოფილა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინადადება** და 2024-2025 წლების სეზონიდან მოყოლებული, ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის 19-წლამდელთა შორის საქართველოს ამავე ასაკში საუკეთესო კლუბიც ითამაშებს.

* * *

**მნიშვნელოვანი სიახლეა ფიფას მიერ ოფსაიდის წესში შესატანი ცვლილებაც.**

კერძოდ, ახალი ფორმულირებით, მოთამაშე თამაშგარე მდგომარეობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდება, თუ მისი მთლიანი სხეული მეტოქის კართან ბოლო მცველზე უფრო ახლოს იქნება.

# განცხადება

## სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

| | |
|---|---|
| 1. | თბოენერგეტიკული დანადგარების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული. |
| 2. | მანქანათმშენებლობის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული საშტატო ერთეული. |

### კონკურსის პირობები:

**უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს,** თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

**მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს,** თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. მიღებული შედეგების ანალიზი და სამეცნიერო ანგარიშების შედგენა.

### კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

| | |
|---|---|
| ა) | განცხადება; |
| ბ) | პირადობის დამადსასტურებელი მოწმობის ასლი; |
| გ) | ავტობიოგრაფია (CV); |
| დ) | დოქტორის (მაგისტრის), ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი; |
| ე) | გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები ( ბოლო 5 წლის განმავლობაში); |
| ვ) | ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს; |
| ზ) | სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში); |
| თ) | სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი; |
| ი) | პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი; |
| კ) | შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი). |
| | |
| | საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ.#10. |
| | |
| | **საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2023 წლის 28 ივლისი.** |
| | |
| | დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ – სვეტლანა ჩაგელიშვილს ტ.: 593 234 025, 2 329017 |

# ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს განცხადება

## ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 03 ივნისის №1-1/256 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (შემდგომში: „სსე") საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერითა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (EBRD) დაფინანსებით, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №1-1/42 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემის ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით" გათვალსიწინებულ 220 კვ. "ახალციხე-ბათუმის" ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას (შემდეგში: „220 კვ ეგხ „ახალციხე-ბათუმის მშენებლობის პროექტი").

პროექტის დანიშნულებაა ახალი ჰესების („შუახევის" და „კორომხეთის" ჰესები) მშენებლობის შედეგად გამომუშავებული ელექტროენერგიის გადაცემა, განაწილება ან/და ექსპორტი. ახალი 220 კვ ეგხ „ახალციხე ბათუმი"-ის არსებობა მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის ენერგომომარაგების სტაბილურობას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და ამაღლებს რეგიონის ენერგეტიკული სისტემის მდგრადობას. ამდენად, პროექტს გააჩნია სახელმწიფოებრივი და სოციალური დატვირთვა და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ენერგოსისტემის პერსპექტიული განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

220 კვ. ეგხ „ახალციხე-ბათუმი"-ს მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ეგხ-ის ანძის პოლიგონის ტერიტორიაზე, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა თხილვანაში მდებარე ვიტალი ქამაშიძის (პ/ნ 61009007217), იამზე ქამაშიძის (პ/ნ 61009010883), ლევან ქამაშიძის (პ/ნ 61009004475), შურა ქამაშიძის (პ/ნ 61009004476),ჯუმბერ ქამაშიძის (პ/ნ 61009009027) თანასაკუთრებაში არსებული 6.647.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.14.36.535) ნაწილის - 505.00 კვ.მ-ის გამოსყიდვის აუცილებლობა.

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეებს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის (505 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეებს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მათი უარის შემთხვევაში, „სსე" იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და 220 კვ. ეგხ „ახალციხე-ბათუმი"-ს მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მათი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2023 წლის 03 თებერვალს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/256 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას"-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე", რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე"** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა თხილვანაში მდებარე ვიტალი ქამაშაძის (პ/ნ 61009007217), იამზე ქამაშიძის (პ/ნ 61009010883), ლევან ქამაშიძის (პ/ნ 61009004475), შურა ქამაშიძის (პ/ნ 61009004476), ჯუმბერ ქამაშაძის (პ/ნ 61009009027), საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**– უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 23.14.36.535; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 6.647.00 კვ.მ.-ის ნაწილი – 505.00 კვ.მ.**

– პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე" უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

# განცხადება

# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნიკოლოზ აფციაურის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნიკოლოზ აფციაური (პ/ნ 16001001674), ქ. გორი, თარხნიშვილის ქ. 17, სართული 4, ბინა 47

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. გორი, თარხნიშვილის ქ. 17, სართული 4, ბინა 47 (საკადასტრო კოდი: 66.05.05.041.01.047 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 39401.53 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 10 ივლისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 24 ივლისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP90716123;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 907161

6. **მოვალე:** ნიკოლოზ აფციაური (პ/ნ 16001001674), ქ. გორი, თარხნიშვილის ქ. 17, სართ. 4, ბინა 47.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP90716123; ლოტის ნომერი: 907161).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 24 ივლისის 12:00 საათამდე.




## ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ვარსკვლავით აკაშკაშდა

**ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტი გაიმართა და ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის წინ ანსამბლის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა.**

ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა ლომინაძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი მეუფე იოანე, თეატრალური სფეროს წარმომადგენლები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა მაყურებელს ქართული ფოლკლორული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები წარუდგინა.

ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი მე-13 წელია ამ სტატუსით საქმიანობს. მანამდე ახალგაზრდული ანსამბლი გახლდათ. მომღერლებსა და მოცეკვავეებთან ერთად ის ქუთაისის სავიზიტო ბარათია და თავისი მრავალფეროვანი საგასტროლო პროგრამით დიდი წარმატებით მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ღონისძიება ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და იმერეთში სახელმწიფოს რწმუნებულის ადმინისტრაციის მხარდაჭერით გაიმართა.

## თბილისის ანძის ახალი სიცოცხლე

თბილისის სატელევიზიო ანძის რეკონსტრუქცია-მოდერნიზების პროექტი იწყება, მას კომპანია Kass Group-ი ახორციელებს.

**„კომპანიამ გაიარა ერთ-ერთი რთული ეტაპი და შენობის პირველადი ვიზუალი თბილისის ისტორიულ საბჭოსთან შეათანხმა. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა ჩატარდა და შენობის ავტორები მოვიწვიეთ. მათ დეტალურად შეისწავლეს პროექტი, შენობის მდგრადობის დადგენის კუთხით. ამ ეტაპზე დეტალური პროექტირება მიმდინარეობს, წინ არაერთი ურთულესი ეტაპი გვაქვს გადასალახი, მათ შორის კონსტრუქციული გადაწყვეტილებები და მიმდინარე საექსპერტო დასკვნები“,** – განაცხადა Kass Group-ის წარმომადგენელმა ანა შანიძემ.



თბილისის ანძის მოდერნიზების პროექტი ჯერ კიდევ 2018 წელს დაანონსდა. 2021 წელს კი, გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვით სწორედ კომპანია Kass Group შეირჩა, რომელმაც თბილისის ანძა ტურისტული დანიშნულების ობიექტად უნდა აქციოს. კერძოდ, Kass Group-ის ტურისტულმა ინფრასტრუქტურამ პანორამული ხედის რესტორანი და ვიზიტორთა ცენტრი უნდა მოიცვას.

**„ახალი პროექტით ანძის სამკუთხედის ფართობი ნარჩუნდება, თავდაპირველი პროექტის მიხედვით, ფართობი იზრდებოდა. მაქსიმალურად მოვერგეთ ანძის იერსახეს და საბჭოს მიერ შეთანხმებულ დეტალებში ცვლილებები არ შევიტანეთ“,** – აცხადებს ანა შანიძე. სიახლეებს შორის პროექტის დასრულების ვადების ცვლილებაცაა, კერძოდ, დედაქალაქის ანძაზე ტურისტული ინფრასტრუქტურა 2024 წელს უნდა დასრულებულიყო, თუმცა, ვადამ ორი წლით გადაიწია.

**მოამზადა**
**რუსუდან ქობულიამ**

## განძით სავსე ძველი ქალაქი მიწისქვეშეთში...



**ჩინეთში, ხენანის პროვინციაში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ბრინჯაოს ხანის დაკარგული ქალაქი, რომელშიც სულ მცირე 9 ელიტური აკლდამა არის შემორჩენილი.**

შანის დინასტიის პერიოდის აკლდამებში არქეოლოგებმა იპოვეს ნეფრიტის ძვირფასი ნაკეთობები, მოხატული კერამიკა და 3000 წლის წინანდელი სასმისები. ერთ-ერთ აკლდამაში აღმოჩენილია ბრინჯაოსგან დამზადებული ეტლის ნაწილი. სულ აკლდამებში 200-მდე არტეფაქტი იპოვეს. სავარაუდოდ, 3 კვადრატული კილომეტრის ფართობის ძველი ქალაქი ცალკე სახელმწიფოს დედაქალაქი იყო, რომელსაც შანის დინასტიამ დაპყრობის შემდეგ ხარკის გადახდა დააკისრა.

## უდიდესი სფეროს ფორმის ნაგებობა

**ამერიკის შეერთებულ შტატებში, დამოუკიდებლობის დღეს, მსოფლიოში ყველაზე დიდი LED-დისპლეი გაანათეს, გზავნილით: „Hello World“. ოფიციალურად „მედისონ სქუერ გარდენის სფერო“, ან „სფერო“, მსოფლიოში უდიდესი სფეროს ფორმის ნაგებობაა. პროექტის ღირებულება $2.3 მილიარდია.**

**შენობის სიმაღლე 111 მეტრს აღწევს და 157 მეტრის სიგანეზეა განთავსებული. ნაგებობის LED-ექსტერიერი თითქმის 54,000 კვადრატული მეტრის ფართობს მოიცავს, დაახლოებით 1.2 მილიონი LED-ნათურისგან შედგება და სრულად პროგრამირებადია.**



ნაგებობას გასართობი სივრცის დანიშნულება აქვს და 17,600 დასაჯდომ, ან 20,000-მდე ფეხზე დასადგომ ადგილს იტევს. „სფერო“ ძირითადად კონცერტებისა და სპორტული ღონისძიებებისთვის იქნება გამოყენებული, როგორიცაა კრივი და შერეული საბრძოლო ხელოვნება. მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოს, შენობის გახსნის ოფიციალურ ღონისძიებაზე როკჯგუფი U2 წარდგება

## TESLA-ს თვითმართვადი მანქანები

**ილონ მასკის პროგნოზით, ელექტრომობილების მწარმოებელი Tesla-ს სრულად თვითმართვადი მანქანები ბაზარზე მიმდინარე წელს ჩაეშვება. კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა განცხადება შანხაიში, ხელოვნური ინტელექტის კონფერენციაზე ვიდეოჩართვისას გააკეთა.**

საუბრისას, მასკმა ამავე საკითხთან დაკავშირებით, გასულ წლებში გამოთქმული ზედმეტად ოპტიმისტური პროგნოზებიც გაიხსენა, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად გეგმების შესრულებასთან იმაზე უფრო ახლოს არიან, ვიდრე ოდესმე ყოფილან. მკვლევრების მოსაზრებები Tesla-ს სრულად თვითმართვადი ავტომობილების გამოშვების ვადებთან დაკავშირებით, კვლავ ორად იყოფა. ტექნოლოგიის სრულად დანერგვა მრავალ სამართლებრივ და მარეგულირებელ საკითხზეა დამოკიდებული, რამაც შესაძლოა, სრულად ავტონომიური მანქანების ტრასაზე დაშვებისთვის ნებართვის გაცემის პროცესი შეაფერხოს.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 12 ივლისს**

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.5930; ევრო - 2.8248;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3100;
100 რუბლი - 2.8354; თურქული ლირა - 0.0995;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5305;
1000 სომხური დრამი - 6.7046

### ამინდი 10 ივლისისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +12, | დღე +27 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +16, | დღე +26 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +15, | დღე +24 |
| თბილისი: | ღამე | +21, | დღე +31 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge